

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

მე-60
სამეცნიერო სესიის
მასალები

2001 წლის 18-21 დეკემბერი

სესია ეძღვნება
აკად. ვარლამ თოფურიას
დაბადების 100 წლისთავს



„ქართული ენა“
თბილისი
2001

სხდომები გაიმართება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
სხდომათა დარბაზში (პ. ინგოროყვას ქ.: № 8, პირველი სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 5 წუთი

რედაქტორი — პ. რ. ფ. გ. კვარაცხელია

© ა. ი. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 99528-907-1-1

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

18 დეკემბერი, 11 საათი

გ . კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა — შესავალი სიტყვა

1. ა . ა რ ა ბ უ ლ ი , ვარლამ თოფურის მემკვიდრეობის უკვდავება
2. ქ ლ ო მ თ ა თ ი ძ ე . ერთი ფონეტიკური კანონზომიერება ბგერათა ფარდობისა: ქართ. ხ (ჰ), ხვ (ჰვ) — აფხ. ჰ, ჰი (ნასესხებ ფუძეებში) და სევან. მუხვბე („ძმა ძმისთვის“) — აფხ. აჰაჰი („სიძე“)
3. თ უ თ უ რ გ ა ი ძ ე , მარცვლის ბუნებისათვის ქართული სიტყვის ბოლოს
)
4. ა ლ . მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი , კუბაჩური მეტყველების სტატუსი — ენაა თუ დიალექტი
5. ა . კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან („მოუგვარია“, „მოუცია“, „მოუცთია“ თუ „მოუცლია“?)
6. გ ბ უ რ ჰ უ ლ ა ძ ე . უკლასნიშნო ზმნების უღვლილების ერთი ქვეტიპის შესახებ ლაკურ ზმნაში
7. ი . ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , ე . გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი , „სევანური ლექსიკონის“ ინვერსიული ინდექსი
8. ტ ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე , დიალექტი და უმწერლობა ენა (მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის)
9. მ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი , ერთი ქართველური შესატყვისობა და მასთან დაკავშირებული ფორმალური და სემანტიკური საკითხები
10. მ ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები და თეზაურუსი როგორც ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენის ფორმა

1. თ . ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი , სტატიკური ზმნების გადმოცემის შესახებ ქეგლში (რვატომეული არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით)
2. კ . ქ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი , წოვა-თუშური გვარების შესახებ
3. გ . გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი , ენა და ნორმა. 4. ციტატა და სხვათა სიტყვის ნაწილაკები
4. მ . ქ უ რ დ ი ა ნ ი , ენა — ქაოსის მოდელირებისა და კატასტროფათა თეორიის თვალსაზრისით. I
5. მ . ჩ უ ხ უ ა , ნახურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები (კონსონანტიზმი)
6. მ . ბ ე რ ი ძ ე , ზმნური ფორმაწარმოების ისტორიიდან (ასმიეს, ჰრწმენა...)
7. რ . ა ბ ა შ ი ა , სიბილანტთა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. II
8. გ . გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე , ცხოველთა სახელები ადამიანის ექსპრესიულ-ემოციური მახასიათებლების როლში
9. მ . ს ა ლ ი ა , მეთევზეობის ლექსიკიდან მეგრულში

1. ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე , წინ/უკან თანდებულების დეიქტური ხმარება
2. თ დ ვ ი ნ ა ძ ე , პარონიმები ქართულში
3. ვ შ ე ნ გ ე ლ ი ა , სამი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის
4. ლ ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე , სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ ბერძნული ლექსიკის შესახებ
5. ჰ ჩ ი მ ქ ე , მ . მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი , შე- ზმნისწინისა და ა- მაქ-
ცერის მიმდევრობისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართუ-
ლის ზმნებში
6. რ . რ ა მ ი შ ვ ი ლ ი , ერთი სპარსული რთული ზმნის კალკი
„რუსუდანიანში“
7. ნ . მ ა მ ი ს ე ი შ ვ ი ლ ი , ოკაზიური ხმაბაძეითი სიტყვები
8. ნ გ უ ლ უ ა , შინაური ფრინველების სადგომებთან დაკავშირებუ-
ლი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში
9. მ ს ა დ ლ ი ა ნ ი , სულის ხსენების გამოხატვა ქართველურ ენებ-
ში

21 დეკემბერი, 11 საათი

1. გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა , გაგებისა და გაგებინების შესახებ სამეტყველო ურთიერთობაში
2. ო . კ ა ხ ა ძ ე , ორი ფონემა ყ არჩიბულში
3. ლ . ნ ო ზ ა ძ ე , შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე (მის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით)
4. გ . ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი , გვარების ბარნაველისა და შერლანის ეტიმოლოგიისათვის
5. თ . გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე , ბაგრატ ჯანაშიას სამეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ (დაბადების 100 წლისთავის გამო)
6. რ შ ე რ ო ზ ი ა , ზმნურ კონსტრუქციათა ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში
7. ლ . ბ ა ბ ლ უ ა ნ ი , სვანური ენის ჩოლურული მეტყველების თავისებურებები
8. ნ . ქ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე , ხრჩოლ-ფუძის წარმომავლობისათვის
9. მ . ა ბ ა ლ ა კ ი , სემანტიკური კატეგორიების ურთიერკავშირი (სინონიმისა და პოლისემიის მაგალითზე)

სემანტიკური კატეგორიების ურთიერკავშირი (სინონიმიისა და პოლისემიის მაგალითზე)

სინონიმია და პოლისემია ორი ცნობილი სემანტიკური უნივერსალია. ეს ენობრივი მოვლენები ურთიერთსაპირისპიროა თავისი არსით: ნიშნისა და მნიშვნელობის ასიმეტრიულობის გამო ერთი და იგივე შინაარსი შეიძლება რამდენიმე ნიშნით იყოს გამოხატული (სინონიმია) და პირიქით, ერთსა და იმავე ნიშანს შეუძლია გადმოსცეს არა მარტო საკუთარი, არამედ მსგავსი შინაარსები (პოლისემია); მიუხედავად ამისა, სინონიმია და პოლისემია პრაბლემათა ერთ მთლიან სფეროს განეკუთვნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს პოლისემიურ სიტყვასა და მის სინონიმთა შორის შინაგან კავშირს, რომელიც იმაში ვლინდება, რომ პოლისემიური სიტყვიერი ნიშნის მნიშვნელობათა გამიჯვნა ხდება სინონიმებთან შედარებისას, ხოლო სინონიმური მწკრივის განსაზღვრა, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაემიჯნება ერთმანეთს პოლისემიური სიტყვიერი ნიშნის ცალკეული მნიშვნელობები. ამრიგად, ორი ან რამდენიმე სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების განმარტებისას დიდ როლს ასრულებს სინონიმები. აქ ისინი ერთი სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობათა შორის განსხვავებას წარმოაჩენენ და ძირითად მნიშვნელობაზეც მიუთითებენ.

სწორედ სიტყვიერი ნიშნის პოლისემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე სინონიმთა შედარებისას ერთადერთ მისაღებ მეთოდად ითვლება არა მთლიანად სიტყვათა მნიშვნელობების დამთხვევა ან სიახლოვე, არამედ მათი ცალკეული მნიშვნელობებისა — ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების შედარება-შეპირისპირება.

როგორც მაგალითები ადასტურებენ, თუ სიტყვები პოლისემიურია, სინონიმია უმეტეს შემთხვევაში ეხება მხოლოდ მათ ცალკეულ მნიშვნელობებს. ზოგადად, თუ რომელიმე N სიტყვას აქვს a, b, c და $a.შ.$ მნიშვნელობები, მაშინ a მნიშვნელობით ის შეიძლება შევიდეს A სინონიმურ მწკრივში, b მნიშვნელობით — შესაბამისად B სინონიმურ მწკრივში, C მნიშვნელობით — C სინონიმურ მწკრივში და $a.შ.$

ამასთანავე, სიტყვებს, რომლებიც კმნიან სინონიმურ B, C მწკრივებს, შეიძლება ჰქონდეთ რამდენიმე მნიშვნელობა და თავის მხრივ შედიოდნენ ახალ-ახალ სინონიმურ მწკრივებში, სადაც ასევე იქმნება პოლისემიური სიტყვები და ა.შ. ამრიგად, ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, იქმნება სემანტიკურ კავშირთა უწყვეტი რიგები, რომლებიც ენის ლექსიკონის დიდ უბნებს მოიცავს.

რ ე ვ ა ზ ა ბ ა შ ი ა

სიბილანტთა შეხატუების ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. II

ქართველოლოგიაში გავრცელებული თეორია საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში სამი რიგის (სისინა, სისინ-შიშინა და შიშინა) სიბილანტების (სპირანტ-ფრიკატების) არსებობის შესახებ, ვფიქრობთ, გადასინჯვას მოითხოვს.

შეინიშნება ერთი კანონზომიერება: არც ერთი დამაჯერებლად რეკონსტრუირებული პრაფორმა (საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი არქეტიპი) არ შეიცავს შუა რიგის (სისინ-შიშინა: ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთან ერთად წინა რიგის (სისინა: ზ ს ძ ც წ) ან უკანა რიგის (შიშინა: ე შ ჯ ჩ ჰ) სიბილანტს, ისევე, როგორც ცალკეულ არქეტიპში დაუშვებელია წინა რიგის (სისინა) და უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა თანაარსებობა.

ამ წესს საფუძვლად უნდა დასდებოდა ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების რაგვარობის პრინციპი (წარმოთქმის ადგილის მიხედვით). ეს პრინციპი გატარებულია როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემებში, ისე ცალკეული ქართველური ენის დონეზე აღდგენილ არქეტიპებშიც, რის მიხედვითაც ქართველური ფუძე-ენისა და ქართულის სისინა სიბილანტთა ეკვივალენტებად ზანურ და სვანურ არქეტიპთა უმეტესობაში წარმოდგენილია ან აღდგება შიშინა სიბილანტები.

მეორე პრინციპი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **დიალექტური პოზიციის პრინციპი** (ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით), ვფიქრობთ უნდა ყოფილიყო მიზეზი შიშინა ჭგუფის (ზანური, სვანური) ქართველურ ენებში წარმოდგენილი სისინა სიბილანტების შემცველი ყველა იმ საერთო-ქართველური ძირის (resp. ფუძის მორფემის) არსებობისა, რომლის ნასესხობა ან ფონეტიკურ ნიადაგზე გამოწვეული ცვლილება (გასისინება) გამოირიცხება.

ეს პრინციპი გულისხმობს როგორც ზანურში, ისე სვანურში სხვადასხვა დიალექტთა (თქმათა) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ამ ენებში საერთო-ქართველურ შიშინა სიბილანტიან ფუძეებთან ერთად სისინა სიბილანტების შემცველი ფუძეების არსებობას. ქართულის (სისინა ჭგუფის) დიალექტებში ეს წესი არ გატარებულა (თუმცა, მისი ჩანასახი, როგორც ჩანს, იყო), ვინაიდან ქართულმა ძირითადად უცვლელად შემოინახა ქართველური ფუძე-ენის ის სისინა სიბილანტები, რომელთა ეკვივალენტებად ზანურსა და სვანურში შიშინა სიბილანტები გვაქვს.


ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პირველ საფეხურზე ზ ს ძ ც წ სიბილანტები უცვლელადაა წარმოდგენილი ქართულ, ზანურ და სვანურ დიალექტებში.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე იმ ზანურ და სვანურ დიალექტებში, რომლებიც არ ემეზობლებიან ქართულის დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, ხოლო ქართულთან მომიჯნავე დიალექტებში ისევ სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ხდება ქართველური დიალექტების ენებად გარდაქმნა: ქართულ დიალექტებში სისინა სიბილანტები კვლავაც უცვლელადაა წარმოდგენილი, ხოლო ზანურისა და სვანურის ქართულთან მომიჯნავე დიალექტებშიც ჩნდება შიშინა ეკვივალენტები.

დროთა განმავლობაში ზანურსა და სვანურში ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: სისინა სიბილანტიანი ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების ზოლშიც — ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვე-

ვაში კი — ასეთ ფუძეებში სისინა სიბილანტთა გაშიშინებით ან სემანტიკური გადაწყვეის წყალობით (ძირითადად) შენარჩუნებული პირვანდელი ფონემური (სისინა) სახით:



სანიმუშოდ მოგვყავს ერთი ძირი (ძ-) და მისგან ნაწარმოები ფუძეები (ძ-ევ-ს; მ-ძ-ევ-ალ-ი, ძ-ებ-ა; გან-ძ-ებ-ა...), რომლებიც აშკარად მიუთითებენ ქართველურ ფუძე-ენაში არა სხვადასხვა ბუნების (სისინა და სისინ-შიშინა: ძ და ძ') ფონემათა, არამედ ოდენ სისინა ძ ფონემის არსებობაზე.

ერთი მხრივ, საერთო-ქართველური *ძ- (სისინა) სიბილანტის უდავო ეკვივალენტებია ქართულ-ზანურ-სვანური იდენტური (სისინა) ძ-სიბილანტი:

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ძ-გ/ძ-უ (მეგრ.), ძ-უნ, მოგო-ზ-უნ (ქან.): სვან. ზ-გ/ზ-ი (ზ < ძ). მეორე მხრივ, საერთო-ქართველური *ძ- (ასევე სისინა და არა — სისინ-შიშინა) სიბილანტის ასევე უდავო ეკვივალენტები ჩანს ქართული ძ- (სისინა) და ზანურ-სვანური ჯ- (შიშინა) სიბილანტები:

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ჯ-ან-ღ/ჯ-ან-უ „წივეს“ (ეტიმოლოგიურად: „ძევს“). ამავე ძ- ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეებშიც სისინათა შესატყვისად ზანურში შიშინა სიბილანტი დაჩნდება:

ქართ. მ-ძ-ევ-ალ-ი (<ძ-ევ-ს): ზან. ჯ-ალ-ი „id“;

ქართ. გან-ძ-ებ-ა, გან-ა-ძ-ო: ზან. გონ-ჯ-ამ-ა „გახსნა; გაღება“..., გან-ჯ-ღ, გან-ჯ-უ „გახსნა; გაალო“... (ეტიმოლოგიურად: ერთმანეთესაგან „განაძო“).

ქართულში ძ-ევ-ს/ძ-ებ-ა-ს ბარალელურად გვაქვს დ-ევ-ს/დ-ებ-ა და მათთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჯ-ედ/ჯ-დ-ომ-ა, სადაც ში-

შინა ჯ- სიბილანტია წარმოდგენილი. დ-/ძ-/ჯ- ბგერათმონაცვლეობის მიზეზი მათი სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობაა, რომელსაც ადრინდელ ქართველურ-ფუძეენაში ერთი ფონემა ჰქონდა ამოსავლად.

ეს მაგალითები ცხადყოფენ როგორც შიშინა ჯგუფის (ზანურ-სევანურ), ისე სისინა ჯგუფის (ქართულ) ენა-დიალექტებში წარმოდგენილ საერთო-ქართველურ ფუძეებში შიშინა სიბილანტების პარალელურად სისინათა არსებობას. ქართულის (და არა მხოლოდ ქართულის) სხვა მაგალითებშიც ეს ვითარება ჩანს ამოსავალი: ხეცა/ხეწა/ხეჭა, ტილი/წილი/ჭილი, თიკანი/ციკანი, ფრცხილი/ფრჩხილი, დაჯსობა/დახშობა, ბრწყალი/ბრჭყალი, ხიწვი/ხიჭვი, პატარა/პაწია/პაჭუა და სხვა ფუძეთა მონაცვლეობის მთავარი მიზეზი დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ და არა მათ სიმბოლურ (ექსპრესიულ) ხასიათში.

საერთო-ქართველურ ლექსიკაში მოიპოვება არაერთი ფუძე, რომელიც ქართული წინა რიგის (სისინა) და ზანურ-სევანური როგორც წინა რიგის (სისინა), ისე უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა შესატყვისობაში დიალექტური პოზიციის პრინციპს არ გამორიცხავს.

მოხსენებაში იჯულისხმება მსჯელობა ასეთ ფუძეთა შორის შესატყვისობის კანონზომიერი ხასიათის შესახებ.

ლი ა ბ უ ლ ა ძ ე

წინ/უკან თანდებულების დიექტური ხმარება

ვოლფგანგ კლაინი თავის წიგნში „დრო ენაში“ წერს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ იყო აღნიშნული ენაში სივრცული და დროითი მიმართებების გამოხატვის ასიმეტრია. მაშინ როცა მოლაპარაკე იძულებულია ჩართოს ზმნაში ტემპორალური ინფორმაცია, ის თავისუფალია საგანთა სივრცული თვისებების აღნიშვნისაგან (Klein 1994:1). გვინდა შევნიშნოთ, რომ საგნის ან ნივთის ხსენება უკვე ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მისი სივრცული თვისებებიც გვაქვს მხედველობაში, გინდაც ენობრივ გამონათქვამში არ იყოს ნახსენები საგნის ადგილმდებ-

ბარეობა, საგნის დასახელება უკვე გულისხმობს მის ისეთ სივრცულ თვისებებს, როგორცაა ზომა ან ფორმა.¹

ძირითადად კი სივრცე, როგორც ზოგადი კატეგორია, ყველაზე ცხადად ვლინდება ფიზიკური ობიექტების ლოკალიზაციის დროს. ობიექტის ადგილმდებარეობის გამოსახატავად ენას მრავალნაირი საშუალება გააჩნია, რომელთა შორის დიექტურ საშუალებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

აღამიანი ენას გარკვეულ სიტუაციაში, გარკვეულ დროსა და ადგილას ხმარობს. სიტუაცია განსაზღვრავს ენობრივი გამოსახულების წარმოებასა და ინტერპრეტაციას. ენობრივი გამოსახულების პროდუქციების დროს არ არის აუცილებელი მთელი მისი მნიშვნელობის ექსპლიციტურად წარმოდგენა, რადგან ამ მნიშვნელობის ნაწილი მაინც უკვე განსაზღვრულია სიტუაციით ანუ კონტექსტით.

ყოველ ენას გააჩნია გარკვეული საშუალებები სიტუაციური ანუ კონტექსტური ინფორმაციის გადმოსაცემად. ამ მიზანს ემსახურება ძირითადად დიექტური გამონათქვამები. განასხვავებენ დეიქსისის სამ სახეს: პერსონალურს (მე, შენ, ჩემი...), ტემპორალურსა (ახლა, დღეს...) და ლოკალურს (აქ, მანდ...). ლოკალურ დეიქსისს განაკუთვნიებენ აგრეთვე ჩვენებით ნაცვალსახელებს (ეს, ეგ...). ენობრივი გამოსახულება სამეტყველო სიტუაციაში ძირითადად ამ დიექტური საშუალებებით არის ჩართული.

გერმანელი ფსიქოლოგი და ენათმეცნიერი კარლ ბიულერი აღნიშნავდა, რომ ენობრივი გამოსახულებები დაკავშირებული არიან ე.წ. „ინდექსურ ველთან“, რომლის ამოსავალ ანუ ნულოვან წერტილს წარმოადგენს *Origo* ფიქსირებული მეტყველის პირით, მისი ადგილმდებარეობით და მეტყველების დროით, ანუ (მე, აქ, ახლა)-ს ერთიანობა (Bühler 1934). ყველა დიექტური გამონათქვამი განისაზღვრება ამ ამოსავალ წერტილთან მიმართების მიხედვით. იმ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც კონცეპტუალურად უშუალოდ უკავშირდებიან ორიგო-ს, უწოდებენ პირველად დიექტურ ელემენტებს, მაგ., პირველადი დიექტური ელემენტებია: მე, შენ, აქ, მანდ, ახლა..., ხოლო იმ ენობრივ ელემენტ-

¹ შტრ. ბროდსკი: *Время больше пространства. Пространство — вещь. Время же, в сущности, мысль о вещи.*

ტებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან კავშირში ძირითად კომუნიკაციურ კოორდინატებთან, უწოდებენ მეორად ლექტურ ელემენტებს. ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნებიან სივრცული ორიენტაციის გამო-მხატველ სიტყვათა წყვილები: წინ/უკან, ზევით/ქვევით, მარჯვნივ/მარ-ცხნივ. ჩვენ მხოლოდ პირველ მათგანს შევხვებით.

სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც ამ წყვილის შესატყვის ინგლისურ წინდებულებს ეხება, მრავალგზისაა აღნიშნული გარკვეული გაუგებრობები, რასაც ადგილი აქვს მათი ხმარების დროს.

საერთოდ ობიექტის ადგილმდებარეობას მეტყველი ადგენს ამ სა-კუთარი თავის ან რომელიმე სხვა ობიექტის მიმართ. რეფერენციის პლანს რელატუმს უწოდებენ (Miller & Johnson-Laird 1976). პირველად სივრცულ რელატუმს, ანუ მიმართების ერთეულს წარმოადგენს ორიგო. სივრცული ცნებების ეგოცენტრული ხმარება მე-ს ათავსებს უნივერსუ-მის ცენტრში. სხვა ობიექტები შეიძლება მოთავსებული იყვნენ მე-ს წინ, მარჯვნივ, ზევით და ა.შ. მე-ს ადგილისა და მისი ორიენტაციის ცოდნა გვაძლევს საშუალებას სწორი ინტერპრეტაცია მიეცეთ იმგვარ გამონათ-ქვამებს, როგორცაა ჩემ წინ, ჩემ უკან ისინი ლექტურნი არიან იმის გამო, რომ პირველი პირის ნაცვალსახელს შეიცავენ (Fillmore 1975).

როდესაც რეფერენციის წერტილს ანუ რელატუმს სხვა ობიექტი წარმოადგენს, მაშინ ორგვარ გარემოებასთან გვაქვს საქმე. პირველ შემთხვევაში რელატუმს აქვს ე.წ. აბსოლუტური ორიენტაცია (Apreşcu 1974:109) ანუ ინტრინსული ორიენტაცია, რაც ნიშნავს, რომ მას აქვს (შინაგანი) წინა და შესაბამისად უკანა ნაწილი (Clark 1973). ობიექ-ტის ინტრინსული წინა ნაწილის განსასაზღვრავად სპეციალურ ლიტე-რატურაში რამდენიმე კრიტერიუმი გამოიყოფა: ადამიანებისთვის, მაგ., წინა მხარე ის მხარეა, სადაც მოთავსებულია აღქმის ძირითადი ორგა-ნოები და რომელიც ჩვეულებრივ ემთხვევა მისი მოძრაობის მიმართუ-ლებას. ადამიანთან ანალოგიით განისაზღვრება ცხოველის წინა მხარეც. ასევე ტრანსპორტის საშუალებების წინა ნაწილად ის მხარე ითვლება, რომელიც პირველი გადაკვეთს ჩვეულებრივი მოძრაობის დროს გარკვე-ულ ტერიტორიას. ზოგიერთი ობიექტის, ძირითადად არტიფაქტების, წინა მხარე ის მხარეა, რომელი მხრიდანაც ხდება მათი გამოყენება (მაგ., კომპიუტერი, საბეჭდი მანქანა, კარადა...).

მოლაპარაკე პირველ რიგში განსაზღვრავს, რომელია რელატუმის წინა ნაწილი და მერე ადგენს მის მიმართ ობიექტის ადგილმდებარეობას. ბავშვი დგას მანქანის წინ — ეს გამონათქვამი ნიშნავს, რომ ბავშვი მანქანის წინა ნაწილის — ანუ მისი ცხვირის წინ არის. მაგრამ ყველა საგანს არ გააჩნია ინტრინსული მხარეები, მაგ., სასადილო მაგიდას, ბურთს, ხეს... როგორ უნდა განისაზღვროს ასეთი საგნის მიმართ ობიექტის ადგილმდებარეობა? ასეთ შემთხვევებში დამკვირვებლის თვალსაზრისი ხდება გადამწყვეტი. ე.ი. წინა და უკანა ნაწილების განსაზღვრა ხდება დეიქტურად, მე-ს მიმართ. ასხვევებზე ორგვარ სტრატეგიას (Clark 1983). პირველ მათგანს კლარკი უწოდებს „კანონიკურ მიმართებას“, ხოლო ჰილი — „საპირისპიროდ მიმართულს“ ანუ „FACING“. მივყვით ჰილის მსჯელობას: ჩვენ ვამბობთ, რომ ჩოგანი დევს ბურთის წინ, როცა ის მოთავსებულია ჩვენსა (ანუ მეტყველსა ან დამკვირვებელსა) და ბურთს შორის (ბურთთან ახლოს). კლარკის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში მოლაპარაკე განიხილავს ბურთს, როგორც კომუნიკაციის აქტის კანონიკურ მონაწილეს, ანუ მსმენელს და ადგენს ჩოგნის მდებარეობას მის მიმართ, ე.ი. მისი წინა ნაწილის მიმართ, რადგან ჩვეულებრივ კომუნიკაციის აქტისას მოლაპარაკე და მსმენელი ერთმანეთის პირისპირ იმყოფებიან.

მეორე სტრატეგიას ჰილი უწოდებს „ALIGNED“-ს ანუ ხაზობრივს. ასეთ შემთხვევაში, მილერისა და ჯონსონის აზრით, მოლაპარაკეს შეუძლია წარმოიდგინოს თავისი თავი გარკვეული საგნების მწკრივში და თქვას, რომ ჩოგანი არის ბურთის უკან (Miller & Johnson-Laird 1976). როგორც ბილმა გვიჩვენა, ჰაუზა ენაზე მოლაპარაკეები, ჩვეულებრივ, ამ სტრატეგიას აძლევენ უპირატესობას, მაშინ როცა ინგლისურენოვანი დამკვირვებლები — კანონიკურ მიმართებას ამჯობინებენ. სტრატეგიის არჩევანი შეიძლება სხვა დამატებითი ფაქტორებითაც იყოს შეპირობებული. მაგ., ინგლისურენოვანმა დამკვირვებელმა შეიძლება თქვას, რომ მანქანა ხის წინაა, როცა ის თვითონ მანქანაში ზის და ხის მიმართულებით მოძრაობს. ხოლო ჰაუზა ენაზე მოლაპარაკე ე.წ. „პირისპირ“ სტრატეგიას მიმართავს, როცა საგანი, რომლის ადგილმდებარეობასაც ის განსაზღვრავს, რელატუმს ეფარება, არ ჩანს. ამგვარი მონაცვლეობა თვალსაზრისებისა განპირობებულია იმით, რომ წინ და უკან ცნებები ფარლობითია. წინ და უკან თანდებულები განსაზღვრა-

ვენ არა მხოლოდ საგანთა მდებარეობას, არამედ აღგენენ მიმართულე-
ბასაც რელატუმისგან, უფრო ზუსტად, რელატუმის ორიენტაციას. მი-
ლერი და ჯონსონ-ლეიარდი შენიშნავენ, რომ კომუნიკაციის აქტში
საგანთა ლოკალიზაციის დროს ინტრინსულ ორიენტაციას ყოველთვის
უბირატესობა ენიჭება, მაგრამ შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ
ხშირად გაუგებრობას სწორედ ისეთ შემთხვევებში აქვს ადგილი, როცა
რელატუმში ინტრინსული მხარეებით ხასიათდება. მოვიყვანოთ ტელერის
მაგალითი. წარმოვიდგინოთ ფოტოგრაფი, რომელიც მანქანის კარისგან
დაახლოებით 5 მეტრის დაშორებით დგას და სთხოვს თავის პატარა
ბიჭს, დადგეს მანქანის წინ სურათის გადასაღებად. ბიჭი შეიძლება და-
დგეს მანქანის ცხვირის წინ (ინტრინსული სისტემა) ან კარის წინ (დე-
იქტური სისტემა).

შემდგომმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ წინ და უკან თანდებულე-
ბის ინტერპრეტაციაზე სიტუაციის სოციალური მხარეც ახდენს გავლენ-
ას (Grabowski 1994). გრაბოვსკის მიერ ჩატარებულ ცდებში ცდის პი-
რები მიუთითებდნენ მანქანის გაჩერების ადგილს ორგვარ სიტუაციაში
— არაოფიციალურში, უბრალოდ მგზავრობისას, ვთქვათ, მეგობართან
ერთად, ან ოფიციალურში — მძღოლის მოწმობის ასაღები გამოცდის
ჩაბარების დროს. პირველ შემთხვევაში ცდის პირთა უმეტესობა მიმარ-
თავდა დეიქტურ სტრატეგიას, მეორეში კი — ინტრინსულს. გრაბოვსკიმ
შენიშნა აგრეთვე, რომ არა გვაქვს სიმეტრია წინ და უკან თანდებუ-
ლების ხმარების დროს. წინ უფრო ხშირად იხმარება დეიქტურად,
უკან კი — ინტრინსულად.

ჩვენი დაკვირვებით, ქართულენოვან მოლაპარაკებებზე ამ თანდე-
ბულებების ხმარებისას შეიძლება ვივარაუდოთ გარკვეული გავლენა იმ
ფაქტისა, რომ ზმნისართი „წინ“ და თანდებული „წინ“ ფორმით აბსო-
ლუტურად იდენტურია. ეს გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ბავშე-
თა მეტყველებაში.

ვარლამ თოფურიას მემკვიდრეობის უკვდავება

აკად. ვ. თოფურიას ცხოვრების გზა — დაწყებული ერთი ქართული სოფლის სკოლიდან და დამთავრებული დედა-წიწვერსიტეტითა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიით — კვლავაც არაერთი თაობისათვის იქნება წარუვალელი მაგალითი პიროვნებისა და მოღვაწის ქეშმარიტი სულიერი თვითგამოვლენისა და თვითდამკვიდრებისა.

ვარლამ თოფურიას ქართველოლოგიის პატრიარქების, უშუალო მასწავლებლებისა და უფროსი კოლეგების ღრმა ნაკვალევზე მოუხდა კვლევა-ძიებითი აღმართისათვის შედგომა, მაგრამ, მეცნიერული სიჭაბუკიდანვე მოკიდებული, არც ვინმეს გავლენა დასტყობია და არც რაიმე პიროვნული რიდის გამო გადაუხვევია ქეშმარიტების გზიდან. თითქმის არ ყოფილა ენათმეცნიერების სფერო, რომელიც მისი მანვილი და ზუსტი მზერის არეში არ მოხვედრილიყო და რომლის შესახებაც მას საკუთარი, ყველასაგან განსხვავებული სიტყვა არ ეთქვა.

ვ. თოფურიას გამოკვლევები — მათი ემპირიული საფუძვლიანობით, მეთოდოლოგიური გამართულობითა და თეორიული სიღრმით — ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მართლაც კლასიკურ მემკვიდრეობას განეკუთვნება; მისი ყოველი დაკვირვება, თითოეული თეზისი ზოგადენათმეცნიერული ღირებულებისაა.

ვარლამ თოფურიას ჰქონდა გამორჩეული გრძობა სიახლისა და აზრის შესაფერისი ფორმით გამოხატვის ჩინებული უნარი, რათა ახალი არ ჩაკარგულიყო, არ დაირდილილიყო უკვე მიგნებულის გადმოცემაში.

ვ. თოფურიას მეცნიერული სტილი, მისი ფრაზის სიღრმე, სიზუსტე და ლაკონიზმი ზუსტად შეესატყვისება იმ ნოვატორულ შინაარსს, რასაც მისი ყოველი სტატია თუ თეზისი შეიცავს.

აკად. ვ. თოფურიას დაბადების 100 წლისთავი, დიდი თავისთავადი მნიშვნელობის მიუხედავად, მხოლოდ ერთი რიგითი ნიშანსვეტია მისი სახელისა და მისი მემკვიდრეობის უკვდავების საუკუნო გზაზე.

ლ ა მ ა რ ა ბ ა ბ ლ უ ა ნ ი

ხვანური ენის ჩოლურული მეტყველების თავისებურებები

1. ჩოლურული მეტყველების ზმნებში ხ თანხმონის წინ ქა- გა- ზმნისწინებს ხმოვანი ეკვეცება:

ქ'ხეჲქენე	„ვეტყვი“
ქ'ხეწოდენი	„შეხედავს“, „დაინახავს“
სგ'ხარ	„შეუდგება“
ქ'ხაკენა	„ახვევია“, „შემოხვეული აქვს“

შესაძლებელია ხგა- ზმნისწინს -გა- სეგმენტი მოეკვეცოს; ლ თან- ხმონის წინ იგი სწორედ მხოლოდ ამ სახით დასტურდება:

ს'ხარ ლაშქრას	„შეუდგება ლესვას“
ს'ხენიგდალხ	„შეეჩვიან“
ს'ხახუტებ უშხუარ	„შეაწყვეტენ ერთმანეთს“
ს'ლოხვადად	„შევეუდექით“
ს'ლხოვანანდ	„მივადექით“
ს'ლებჳგრანხ	„შევედრნენ“

2. ჩოლური ცხენის წყლის ხეობაში მდებარეობს და აქედან გამომდინარე, ჩოლურული მეტყველება უშუალოდ ესაზღვრება ლენტე- ხურსა და ლახშუბ კილოებს. თავისთავად ცხადია, რომ შეხვედრის ად- გილას გვაქვს გარკვეული გავლენები (უფრო სწორი იქნებოდა ურთიერ- თგავლენებზე ლაპარაკი). ლენტეხურის უშუალოდ მოსაზღვრე სოფლებ- ში ჩოლურისა (საყდარი, დგრამი) საინტერესო მოვლენა დასტურდება: ურედუქციობა და გრძელი ხმოვნები ერთსა და იმავე სიტყვაში ერთმა- ნეთის გვერდითა გვაქვს:

ქამეჳდლხ	„გამოსულან“ (დანარჩენ ჩოლურულში ეს ფორმა ასეთია: ქემეჳდლხ)
ათოსგიდარახ	„მიუხედ-მოუხედავთ“ (დანარჩენ ჩოლურულში ოთსგიდარალახ)

გვხვდება პარალელური ფორმებიც:

მამ ლახსიამგუნხ || მამ ლახსიამგუნხ „არ მოეწონათ“.

ურედუქციობისა და გრძელი ხმოვნების ასეთი თანაარსებობა არსებითად ცვლის როგორც სიტყვის, ასევე წინადადების ინტონაციურ ქარგას.

გ უ რ ა მ ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი

გვარების ბარნაველისა და მერლანის ეტიმოლოგიისათვის

I. ა) ცნობილი ქართული გვარი ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი დიდი ხანია მეცნიერ-სპეციალისტთა შესწავლის ობიექტად არის ქცეული. საერთო აღიარებით (თ. ს ა ხ ო კ ი ა , ი ლ . მ ა ი ს უ რ ა ძ ე ...) ბარნაველი პირის სადაურობის მაჩვენებელი ერთეული ყოფილა. ამოსავალ (საყრდენ) ფუძედ ითვლება მესხეთში მდებარე სოფელი (ნასოფლარი) ბ ა რ ნ ა ვ ე -ი, რომელსაც ადამიანის სადაურობის -ელ-სუფიქსი დართვია: ბარნავ-ელ-ი. აქვე დავძენთ, რომ ტაპონიმი ბარნავი ჩვენს ხელთ არსებულ ვრცელ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში საერთოდ არ დადასტურდა; მას არ იცნობს არც „გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი დავთარი“ (XIV-XV ს.ს.), არც ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერა“ და არც სხვა გეოგრაფიული საცნობარო-აღწერილობითი ლიტერატურა. ამდენად ვერსია ბარნავი → ბარნაველ-ი მხოლოდ თეორიული მტკიცების დონეზე შეიძლება განიხილებოდეს.

ბ) მოხსენებაში ვცდილობთ ვაჩვენოთ გვარის წარმომავლობის რეალური საფუძველი. ირკვევა, რომ ბარნავ-ელ-ი მართლაც ტაპონიმური წარმოშობის ერთეულია, ოდონდ ამოსავალია არა არარსებულო (თეორიული) ბარნავი არამედ ტაო-კლარჯეთის ცნობილი ტაპონიმი ბ ა ნ ა , სადაც ჭერ კიდევ VII ს. შუა წლებიდან აგებული იყო ტაძარი, რომელიც X-XI ს.ს. მნიშვნელოვან მწიგნობრულ ცენტრად იქცა ზაქარია ბ ა ნ ე ლ ი ს თაოსნობით.

გ) ტოპონიმ ბანა-საგან საერო გვარის, ბარნაველის წარმოქმნა, ბან-ელ-ო-საგან განსხვავებით, რთული ფონეტიკური ცვლილების შედეგია. პირველ რიგში ფუძეში ნ-არის წინ ჰომოგენური (სონორი) რ-ე განვითარებულა, -ელ- სუფიქსის -ე- ხმოვნის წინ კი ვ-ინი გაჩენილა. ვ-სონორის ჩართვის შემთხვევები ანთროპონიმებში (ფუძისა და სუფიქსის შესაყარ პოზიციაში) ცნობილია. შდრ. ხანდო — ხანდო-გ-ელ-ო, ხინო — ხინო-გ-ელ-ო||ხინ-გ-ელ-ო...

დ) ჩვენული ვერსია ბარნაველის ტოპოლარჯულ ტოპონიმ ბანა-საგან მომდინარეობის თაობაზე არსებითად ემყარება იმ ფაქტს, რომ ქართულ ანთროპონიმოკონში იძებნება ისეთი ერთეულები, რომლებშიც აღნიშნულია ზემო ქართლის ტერიტორიაზე ტოპო-კლარჯეთში მოსახლე პირთა ნაწილობრივი მიგრაციის ამსახველი ფაქტები: არზრუმელაშვილი, იშხნელი || იშხნელიძე, კლარჯიშვილი || კლარჯიშვილი, კოლელიშვილი (პროვინცია კოლა: ზ. ქუშბურიძე, 1987), ტაველაშვილი || ტაველიშვილი, ტაველიძე, ტაველური (პროვინცია ტაო) და მისთ. ამ შემთხვევაშიც: ბანა → ბარ-ნა-გ-ელ-ო „ბანადან საცხოვრებლად გადმოსული პირი“, „ბანა-გ-ელ-ო“.

II. ა) დღევანდელ ზემო სვანეთში გავრცელებული გვარი მერლანი სპეციალისტთა მიერ დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. მართალია, ფილოლ. მეცნ. დოქტორმა ბ. ცხადაძემ ნიკ. ჯომიდავას წიგნს („კოლხური გვარ-სახელები“, თბ., 1996) წამძღვარებულ რედაქტორის წინასიტყვაობაში მერლანი ქართული შელაძის ვარიანტად ჩათვალა (გვ. 08), მაგრამ ამჟამად, რომ ამ თვალსაზრისს მეცნიერულ კვლევასთან საერთო არაფერი აქვს.

ბ) მერლან-ო, ჩვენი ფიქრით, გვაროვნული კრებითობის -ან სუფიქსით არის წარმოქმნილი (შდრ. გულედ-ან-ი, გაღრ-ან-ი, ჩართოლ-ან-ი, ქალდ-ან-ი...). ამოსავალ ფუძედ გვესახება ეთნოტერმინი იშერელ(ო), რომელსაც მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია; ჩავარდნილა თავიიდურა ი ხმოვანი, ფუძის კუმშვის გზით კი — ე ხმოვანი: (ი)შერ-(ე)ლ+ან-ო.

გ) მერლან-ო, ამრიგად, უნდა მივიჩნიოთ გვარად, რომლის ამოსავალი ფუძეა მერლ (-შერელ-).

დ) სვანეთის ანთროპონიმიაში ეთნონიმური ფუძეების გამოყენების ცალკეული შემთხვევები (ჩართოლ-ან- — ქართველ-ან: ეკ.

ოსიძე) კარგად არის ცნობილი. მერლანცი სახელთა ამ წყებაშია მისათვლელი.

მ ა რ ი ნ ე ბ ე რ ი ძ ე

ზმნური ფორმაწარმოების ისტორიიდან (ასმიეს, ჰრწმენა...)

1. მოხსენებაში განვიხილავთ ზმნურ ფორმებს „ასმიეს“ და „ჰრწმენა“. ვფიქრობთ, რომ ისინი სტატიკური აწმყოს ფორმებად უნდა მივიჩნიოთ.

„ასმიეს“:

ხოლო ჩვენ გუასმიეს მისი იგი უძღურებად და შეურაცხებად მათდა შემძლებელ ვართ ამით სახითა (მამათა ცხორებანი).

ჩვენ გუასმიეს სჯულისაგან, ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე
ეგოს. ი, 12, 34.

„რწმენა“:

და ჰრქუა იესუ ასისთავსა მას: წარვედ და ვითარცა გრწმენა,
გეყავნ შენ. მ. 8, 12.

მიხილე და გრწმენა. ი. 20, 29C

(შდრ.: მიხილე და გრწამ. ი. 20, 29DE).

2. წარმოების პრინციპით ეს ზმნები გვერდში უდგანან ჩვენ მიერ ადრეულ ნაშრომებში განხილული „ჰგეის“ ტიპის ზმნებს, რომელთა საწარმოებლად გამოყენებული უნდა იყოს გარდამავალ ზმნათა აორისტის მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმათა ყალიბი.

3. II სერიის დინამიკურ ფორმათა ყალიბის სტატიკურ ზმნათა საწარმოებლად გამოყენება უცხო არ არის ქართულისთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სტატიკურ ზმნათა ერთ დიდ ჯგუფს, რომელთა ამოსავლადაც II ხოლმეობითის მრ.რ. III პირის ფორმები მიიჩნევა: ჰრქვან (აკ. შანიძე), ჰშიან, ეშინიან... (შ. შინჯიაშვილი).

სვანურში ამავე შინაარსის სტატიკურ ზმნათა საწარმოებლად I თურმეობითის III პირის ფორმაა გამოყენებული ვ. თოფურია, კლ. გა-

გუა, რ. ქვადუა...) ხაუხა (შქვია), ხაზნა (ზნედ აქვს), შიცხა (შირჩევი-
ნია)...

4. ზემოთქმულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, უფლება გვაქვს
სტატიკურ ზმნათა წარმოების ერთ-ერთ საშუალებად ვალიართ
გარდამავალი ზმნების ნამყო დროთა (ძირითადად II სერიისა, სვანურში
III სერიის) III პირის ფორმათა მოდულების გამოყენება. ვფიქრობთ,
წარმოების ამ ტიპის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ამოსავალი დინამი-
კური ფორმების შინაარსმა: ა) პერფექტულობამ, ბ) კაუზატიურობამ,
გ) III ზოგადი, განუსაზღვრელი (იმპერსონალური) პირის შემცველობამ.
მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თითოეული ეს შინაარსი მკიდროდ
უკავშირდება რეზულტატურობას.

თ ა მ ა რ ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი

სტატიკური ზმნების გადმოცემის შესახებ ქეგლში (რვატომეული არნ. ჩიქობავას ხაერთო რედაქციით)

1. სტატიკურ ზმნებს საკუთარი აქეთ ნაკეთთა აწმყოსა და თურ-
მეობითის წყება.

2. სტატიკურ ზმნათა ერთი ნაწილი ნაკეთთა მყოფადისა და ნა-
მყო ძირითადს წყებას მოქმედებითი გვარის ზმნების სუბიექტური ქცე-
ვის ფორმით ივსებს.

3. იავადმყოფებს ფორმას ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს:
მოქმედებითის სუბიექტური ქცევა და სტატიკური. ეს მნიშვნელობები
განსხვავდება ერთმანეთისაგან პირთა რაოდენობით, პირდაპირი ობიექ-
ტით, დროთა წარმოებით, პრევერბით, ფაქტობრივად ეს არის ორი
სხვადასხვა ზმნა, სხვადასხვა მორფოლოგიური და ლექსიკური ერთეუ-
ლი — ომონიმები.

4. ზომ არ გაიყოს ასეთი ზმნები ცალ-ცალკე ლექსიკურ ერთეუ-
ლებად?

5. სტატიკური ზმნების მეორე ნაწილი მყოფადისა და ნამყო ძი-
რითადის წყებას ენიანი დინამიკური ვნებითით ივსებს.

6. შემაჯავებელ დინამიკურ ვნებითს ეძლევა მეორე მნიშვნელობა — სტატიკურობა.

ეწერება ერთის მხრივ აწმყოა დინამიკური ვნებითისა, მეორე მხრივ — სტატიკურია და მყოფადი: ჩაწერილი იქნება. შეიძლება ამ მნიშვნელობების ორ ცალ-ცალკე ლექსიკურ ერთეულად გაყოფა ჯობდეს.

7. როგორც სტატიკურ ზმნებზეა მითითებული, რომ იყენებს სათანადო ზმნას ძირითადი დროების შესაფასებად, ასევე შემაჯავებელ ზმნებსაც ხომ არ მიეთითოს, რომ მყოფადისა და ნამყო სრულის წყებაში ავსებენ სტატიკურ ზმნებს?

გ ე ნ ა დ ი ბ უ რ კ უ ლ ა ძ ე

უკლასნოვნო ზმნების უღვლილების ერთი ქვეტიპის შესახებ ლაკურ ზმნაში

1. არნ. ჩიქობავას ცნობილი დებულების თანახმად, დღეს იბერიულ-კავკასიურ ენებში უღვლილების სამი ტიპია წარმოდგენილი:

- 1) კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი
- 2) კ ლ ა ს ო ვ ა ნ - ბ ი რ ო ვ ა ნ ი
- 3) ბ ი რ ო ვ ა ნ ი .

უღვლილების ეს სამი ტიპი იბერიულ-კავკასიურ ენათა უღვლილების პროცესის განვითარების სამ ს ა ფ ე ხ უ რ ს წარმოადგენს (არნ. ჩიქობავა):

- 1) ამოსავალია კლასოვანი უღვლილება;
- 2) კლასოვან-პიროვანი უღვლილება განვითარდა კლასოვანი უღვლილების გ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ;
- 3) პიროვანი უღვლილება ესაა კლასოვან-პიროვანი უღვლილების გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ი ს შედეგი.

2. ცალკეა გამოსაყოფი ის შემთხვევა (შემთხვევა და არა ტიპი — გ.ბ.), როცა ზმნა არც პიროების მიხედვით იცვლება და არც კლასებს განასხვავებს. თუ ჰენა გრამატიკულ კლასებს არ განასხვავებს, მას არ შეიძლება ჰქონდეს არც კლასოვანი და არც კლასოვან-პიროვანი

უღვლილება, მას შესაძლებელია ჰქონდეს პიროვანი უღვლილება (ან არადა გა უ რ ჩ ე ე ლ ო ბ ა პ ი რ თ ა და კ ლ ა ს თ ა მ ი ხ ე დ - ვ ი თ " (არნ. ჩიქობავა; დაყოფა ჩვენია — გ.ბ.).

ეს დამახასიათებელია დაღესტნურ ენათაგან, მაგალითად, ლეზგიურისა და ალუღურისათვის და მიგვანიშნებს იმ მდგომარეობაზე, როცა გრამატიკული კლასები ენებში გაქრა, მაგრამ პიროვანი ფორმები არ წარმოქმნილა (არნ. ჩიქობავა).

ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა ა ზ ო გ ჯ ე რ ლ ა კ უ რ - შ ი ც

3. მართალია, ლაკურში ფაქტობრივად იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებული უღვლილების სამივე ტიპია წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი , მაგრამ ნ ა ტ ვ რ ი თ ი კ ი ლ ო ს ფ ო რ მ ე ბ შ ი უ კ ლ ა ს ნ ი შ ნ ო ზ მ ნ ე ბ თ ა ნ პ ი რ თ ა და პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა რ ა კ ი ს ა ე რ - თ ო დ ა რ ა ა , ბუნებრივია, ის შეფასდეს, როგორც „გაურჩევლობა პირთა და კლასთა მიხედვით“.

აქ ლაკურის ის შემთხვევები გვაქვს მხედველობაში, როცა „აფიქსი -ნაჟ (—რა-ჟ) ინფინიტივისაგან ყველა პ ი რ ს ა და ო რ ს ა ვ ე რ ი ც ხ ე შ ი ერთნაირად აწარმოებს ე.წ. შელოცვისა თუ ფიცილის ფორმას“ (ნ. ჭიდალავეი, ჰ. მურყელინსკი). რამდენიმე ნიმუში:

ჯინმურ ზ-უნ-ნა-ჟ „ბედნიერად, ნახვამდის!“ ინა ჯინ ჯანან-და-ჟ „დაე, შენ გამოჩანმრთელი!“ ტულუნთაჟ ლაჯი ლაგჟან-ნა-ჟ „დაე, დიდხანს იცოცხლოს ბაგაზე!“ უილ უილახაჟ ცააც ხაახაჟან-ნა-ჟ „დაე, დაიხოცონ შენები!“ (ზედმ. „დაე, შენს კერაში გაიზარდოს ასკილი!“) და სხვ.

ამ -ნა-, -და- ელემენტებისათვის ამოსავალია -რა- (პრედიკატულობის აღმნიშვნელი ელემენტი), რომელიც „პ ი რ ი ს ა და რ ი - ც ხ ე ს მ ი ხ ე დ ე ი თ გა უ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ ე ლ ი ა“ და „იმ ვითარების ამსახველია, როცა ლაკური ზმნა პირთა მიხედვით არ იცვლებოდა“ (გ. ბურკულაძე).

4. თუ ზმნა პირისა და რიცხვის მიხედვით არ განირჩევა, თანაც უკლასნიშნოა, ბუნებრივია, გვეფიქრა, რომ ნატვრითი კილოს ასეთი ფორმები ლაკურში ცალკე გამოიყოს, მაგრამ არა როგორც უღვლილების ცალკე, დამოკიდებული მეოთხე ტიპი, არამედ ქვე-

გ ვ ა ნ ც ა გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

ცხოველთა სახელები ადამიანის ექსპრესიულ-ემოციური მახასიათებლების როლში

ქართულ სალიტერატურო ენაში, დიალექტებსა და სასაუბრო მე-ტყველებაში ადამიანის ექსპრესიულ-ემოციური დახასიათებისათვის ძალზე ხშირად გამოიყენება როგორც ხერხემლიან, ისე უხერხემლო სულიერ არსებათა (შათ ქვემოთ ცხოველებად მოვიხსენიებთ) აღმნიშვნელი სახელები. ცხოველთა სახელებს ამ მიზნით ხმარებისას აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციური დატვირთვა. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შეტანილი ცხოველთა სახელებიდან გამოიყო 245 სახელი, რომლებიც სხვადასხვაგვარი ხერხით შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული ადამიანის შინაგანი თუ გარეგანი თვისებების აღსანიშნად. ამ მასალაზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა აღინიშნოს შემდეგი:

1. ადამიანის ექსპრესიულ-ემოციური დახასიათებისათვის ცხოველთა სახელები ან ყოველგვარი საგანგებო მორფოლოგიური ელემენტის დართვის გარეშე იხმარება, ან იყენებს მორფოლოგიურ ელემენტებს (თანდებული -გით, სუფიქსები -ურ, -ურ-ად), ანდა მეშველ ზმნასთან ერთად დაირთავს მსაზღვრელ სიტყვებს (ნამდვილი, მართლაც, დი-დი...).

2. ყოველგვარი საგანგებო მორფოლოგიური ელემენტის გარეშე, გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება ცხოველთა აღმნიშვნელი 89 სახელი: ასპიტი — ავი, ბოროტი ადამიანი; გველი — ბოროტი, გაიძვერა; დედალი — ლაჩარი, მზალი მამაკაცი; ვეფხვი — ღონიერი და გულადი; თხა — ქალაბიჟა, მოურიდებელი, აბტაჯანა ქალიშვილი; მელა — პირმოთნე, გაიძვერა, ცბიერი; ყონი — მოჩხუბარი, ფალავანი, პირველობის მოყვარული; ჭრიჭინა — თავქარიანი...

3. მორფოლოგიური საშუალებებიდან ყველაზე პროდუქტიულია -ვით თანდებული, რომელიც დასტურდება 214 სახელთან (მათ შორის წინა პუნქტში დასახელებულ სიტყვებთანაც): ბატივით უქკუა; ბოკვე-რივით ბიქი; გეზელქორივით დააცხრა; გუგულივით წყნარად ზის; ვეფხვივით მანაცი; კურდღელივით მშიშარა; ლომივით იბრძვის; მტრედოვით უწყინარი; ღორივით ამოთხერილი; სვაფივით ქამს; ძაღ-ლივით ერთგული; შველივით ქალი; ჰუკივით გამოთერა, ხარივით ჯანმრთელი...

შენიშვნა: უაფიქსო და -ვით თანდებულისანი (უკეთ: ვითარცა ამოსავალი სახეობიანი) ცხოველთა სახელები ადამიანის დასახასიათებ-ლად ერთდროულად გამოიყენებულია ჭერ კიდევ იაკობ ცურტაველის „მუშანიკის წამებაში“, რაც ამ ხერხთა დიდ სიძველეს ადასტურებს: „ვითარცა შვეცი მძწენარეჲ ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი“; „შე-მდგომად ორისა დლისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად...“

4. ცხოველთა მრავალ სახელს გადატანითი მნიშვნელობით ხმარე-ბისას განვითარებია რამდენიმე მნიშვნელობა (ზოგჯერ ურთიერთსაპი-რისპიროც). მაგალითად: ბულა — 1. ღონიერი; 2. ჯანსაღი; 3. შექალ-თანე; ვირი — 1. ბრიყვი; 2. უზრდელი; ტუტუცი; 3. ჭიუტი; 4. ღონიე-რი და მოუხეშავე; კაჭკაჭი — 1. კორიკანა, ყბელი; 2. უაზროდ მოხეპი-რე; მგელი — 1. დაუნდობელი, ბოროტი; 2. მოძალადე, მტაცებელი, გლეჯია; 3. ძალზე კარგი, ხარისხიანი (ქარგონულ შეტყველებაში ითქმის ნივთის შესახებ)...

5. თბილისისხლიან არსებათა (ფრინველები, ძუძუმწოვრები) და თევზების სახელები გამოიყენება ადამიანის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებათა ხაზგასასმელად. შინაურ ცხოველ-ფრინველთა სა-ხელები არ არის ასოცირებული მხოლოდ დადებით თვისებებთან ისევე, როგორც გარეულ ცხოველ-ფრინველთა სახელები არ გამოიყენება ოდენ უარყოფითი დატვირთვით. სამაგიეროდ ქვემძროშთა და უხერხემლოთა სახელები უპირატესად დაკავშირებულია ადამიანის უარყოფით თვისე-ბებთან, თუმცა მწერთა ორიოდ სახელი მხოლოდ დადებითი თვისებე-ბის გამომხატველია (ფუტკარი, ჭიანჭველა).

**ბაგრატ ჯანაშიას სამეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ
(დაბადების 100 წლისთავის გამო)**

ბაგრატ ჯანაშია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი აფხაზთმცოდნე მეცნიერი იყო. იგი აღწერი-
თი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით იკვლევდა აფხაზური
ენის ლექსიკას და სამართლიანად მიიჩნეოდა ამ ენის ღრმად მცოდნე
სპეციალისტად. აფხაზურ სოფელ აძვიბჯაში 1901 წელს დაბადებულმა
და იქვე აღზრდილმა ქართველმა კაცმა ბრწყინვალედ იცოდა აფხაზუ-
რი ენა, შესისხლხორცებული ჰქონდა უძველესი აფხაზური ადათ-წესები,
გულწრფელად იზიარებდა მოძმე ხალხის ქირსა და ლხინს, ზრუნავდა
აფხაზური სამეცნიერო ინტელიგენციის ახალი თაობების აღზრდაზე.

მართალია, ბ. ჯანაშიას არცთუ ისე ბევრი სამეცნიერო ნაშრომი
დარჩა გამოქვეყნებული, მაგრამ ყველა მისი სამეცნიერო პუბლიკაცია
ნათელყოფს ავტორის ღრმა განათლებასა და დიდ ნიქს. ამ ნაშრომები-
დან საგანგებოდაა აღსანიშნავი მონოგრაფია „მევენახეობისა და მელეი-
ნეობის აფხაზური ლექსიკა“ და „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“, რო-
მელთაც დღემდე აქვთ დიდი სამეცნიერო, პრაქტიკული და საზოგადო-
ებრივი მნიშვნელობა. კერძოდ, მონოგრაფიაში წარმოდგენილია ავტო-
რის მიერ სოფელ-სოფელ შეკრებილი ისეთი უნიკალური მასალა და მი-
სი ანალიზი, რომელიც დღეს უკვე აღარ დასტურდება რუსული ენის
მძღავრი ზეგაელენის გამო. რაც შეეხება ლექსიკონს, მასში შეტანილია
დაახლოებით 8 ათასი სიტყვა, რომლებიც ქართულ ენაზე თარგმნილია
აბსოლუტური სიზუსტით. ეს ლექსიკონი ამ სახის პირველი თარგმნითი
ლექსიკონია და დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

გარდა დასახელებული ნაშრომებისა, ბ. ჯანაშიას შედგენილი ჰქო-
ნია ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-რუსული ლექსიკონები, სოფელ-
სოფელ დიდი რუდუნებით შეუკრებია მეცხოველეობის, მეფრინველეო-
ბის, მეფუტკრეობის, მკვდლობის, საფეიქრო საქმის, შშენებლობის, მე-
ბოსტნეობისა და ხალხური მედიცინის უმდიდრესი აფხაზური დარგობ-
რივი ლექსიკა. მეცნიერის ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომთა მოძიება და
გამოცემა დიდად სასარგებლო იქნებოდა არა მარტო აფხაზური ლექსი-

კის ისტორიულ-მედიკალური კვლევისათვის, არამედ მთლიანად იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისთვისაც.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ენა და ნორმა

4. ციტატა და სხვათა სიტყვის ნაწილაკები

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა“ პირველ კრებულში სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული (1986 წ. გვ. 161-167). შემოთავაზებული წესები 9 პუნქტადაა ჩამოყალიბებული. ჩვენს ყურადღებას ორი მათგანი იქცევს: „ბ. -თა ნაწილაკი დაიწეროს წინადადების წვერთან ერთად, შერწყმულად, -მეტქი და -თქო ნაწილაკები გამოიყოს წინადადების წვერებისაგან დეფისით... 9. -მეტქი, -თქო და -თა ნაწილაკებიანი სხვათა სიტყვა ბრჭყალებში არ ჩაისვას“.

აღნიშნული წესები არ ითვალისწინებს ციტატის შემთხვევას: ჩვეულებრივ ციტატას ბრჭყალებში სვამენ, დეფისით გამოყოფილ ნაწილაკს — ბრჭყალებს გარეთ:

„ნურარაჲ გგლიან, უტე მოკუდეს“-თ, თქვა ვარსქენმა.

ამ შემთხვევაში ორივე (მე-ბ, მე-9) წესი დაირღვა: თა გამოიყოფილ დეფისით და გამოყოფილია ბრჭყალებიც.

ფიქრობთ, სირთულეს მოხსნის, თუ მე-9 წესს ამგვარად დავაზუსტებთ: -მეტქი, -თქო და -თა ნაწილაკებიანი სხვათა სიტყვა ბრჭყალებში არ ჩაისვას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ნაწილაკები ციტატას დაერთვის. მაგალითი: „ნურარაჲ გგლიან, უტე მოკუდესო“, თქვა ვარსქენმა.

**შინაური ფრინველების სადგომებთან დაკავშირებული
ლექსიკა მეგრულ-ლაზურში**

მეგრულში შინაურ ფრინველთა სადგომების აღმნიშვნელ ლექსიკას აწამრმოებს ო-ე პრეფიქს-სუფიქსი: **ო-ქოთომე-ე** „საქათმე“, სადაც ქათმებია დამწყვედელი; **ო-ღორღონჭ-ე** „საბატე“, ღერღელთა, ბატთა ბინა; **ო-ინღურ-ე** „საინდაურე“, ინდაურთა სადგომი, **ო-კვატ-ე** „საინვე“, სადაც იხეებია.

ოქოთომეს პარალელურად, მეგრულში საქათმის მნიშვნელობით იხმარება სხვა ძირისაგან ნაწარმოები ტერმინი **ო-კარი-ე**. **ო-კარი-ე** ეს არის შენობა, სადაც ქათმებია დამწყვედელი. მაგ., ოკარიემ კარი დოკილე. „საქათმის კარი დაკეტე“. **ოქოთომე** კი აღნიშნავს **ოკარიე-საც** და საკუთრივ ტერიტორიასაც, სადაც ეს **ოკარიე, კარიი**. მაგ.: ოქოთომეს მუ გოკოდუ, სი მახაკვალი ჭიჭე ტურა. „საქათმეში რა გინდოდა, შე ეშმაკო, პატარა ტურაე“. ოქოთომეს ოდიარე ვეგიხარენს. „საქათმეში მინდორი ბალახი არ (ვერ) გაიხარებს“. გურულში საქათმეს **კარიე, ხაკარიე** ჰქვია, რაც აშკარა ზანიზმს წარმოადგენს.

ლაზურში საქათმეს **ოქოთუმალეს** ეძახიან. შდრ. (ლეჩხ.) **საქათმური** — საქათმე.

საქათმეში გაღებულია **ქანდარა** — ფრინველთ ჩამოსაჯდომი, ლატანი (საბა). მეგრულში მას **დან** ჰქვია, ზოგიერთები **გომგალი-საც** ეძახიან. ლაზურში კი შემდეგი ვითარება გვაქვს:

ქანდარა: ოქოთუმალეს კეტეფე გონდვეის გელახენან, ამუს უწუმელან ქანდარა.

„საქათმეში დასაჯდომად გაღებულ ჭონებს ქანდარას ეძახიან“.

გერმეფე: ოქოთუმალეს გერმეფე გონძინ დო ექ გელახედუნან ქოთუმეფე.

„საქათმეში გაღებულია ხეები და იქ სხედან ქათმები“.

ბიგაფე: ოქოთუმალეს ბიგაფე გონძინ დო ექ გელახედუნან: „საქათმეში ჭონებია გაღებული და იქ სხედან“.

სქენჯე: ოქოთუმალეს დოლოხე სქენჯე გოუნდუმეთ დო ექ გელახენან.

„საქათმეში შიგნით კიბეს გავდებთ და იქ სხედან“.

დიშქა: ოქოთუმალეს მოლოხუნაფთ. დიშქა გუნძინ ღო ექ გე-
ლახედუნან.

„საქათმეში ჩავამწყვდეთ ჩავსამთ). ჯონია (შეშა) გადებული და
იქ სხედან“.

მეგრულში დასტურდება ქართულიდან შემოსული **ბუდე** ფორმა.
ი. ყიფშიძე **ბუდე**-ს სინონიმად ასახელებს **ოგვაჯეს**. **ოგვაჯე-ГНЕЗДО ДАЯ
КУР. ო-გვაჯ-ე**, მთქმელთა განმარტებით, ბუდის ერთ-ერთი სახეობაა,
სადაც შინაური ფრინველი დებს კვერცხს. მაგ., ოგვაჯეს ჯალი კვერცხი
ირო ოკო ინოძუდას: „საბუდარში (ბუდეში) მძევალი კვერცხი ყოველ-
თვის უნდა იდოს“. **ო-გვაჯ-ე** პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისაა.
შდრ. ქართ. **სა-ბუდ-არ-ი**. **გვაჯ-** ფუძისაგანაა ნაწარმოები **გვაჯ-ინ-ი**,
გილე-გვეჯ, **ი-გვეჯ** ფორმები. მაგ., მუ მასკული ქოთომცალი იგვეჯ:
„რა კვერცხის მდებელი ქათამივით წრიალებს“. გადატანითი
მნიშვნელობით აღამიანზე იტყვიან.

ლაზურში საბუდარს **ოსქვე** ჰქვია. მაგ., ოსქვეს გედუმეს მარქვა-
ლი, ონწიაფუ დულუძინ: „საბუდარში დაღო კვერცხი, მძევალი რომ
დევს (შიგ)“. **ო-სქვე-ე**: **სქვე**- ძირზე **ო-ე** პრეფიქს-სუფიქსის დართვით.
შდრ. მეგრ. **სქუ-ალ-ა** „კვერცხის დება“. **შა-სქუ-ალ-ი** „კვერცხის მდებე-
ლი“. ლაზ. **ქოდო-სქუ** „დაღო“. **სქუ**-ძირეულია. ამავე ძირისაა **სქუა**
„შილი“. მეგრ. ლაზური **სქვე**- ძირი ქართული **შევ**- ძირს შეესატყვისე-
ბა. ოღონდ ამ ძირებს შორის მნიშვნელობის გადაწევა მომხდარა. ზა-
ნურში ის აღნიშნავს „კვერცხის დებას“, ქართულში კი — „შობას“.

ასევე, **ოსქვეს** მნიშვნელობითაა ცნობილი ლაზ. **ძაო || ძარო**
„ბუდე“; (მაგ. ძარს მაქვალი გესქოფს, ძარ ოქოთუმალეში უინ იყვენ:
„ბუდეში კვერცხს დადებს. ბუდე საქათმის ზევით იქნება“. (შდრ.:
ქართ. ძარო) და **იოვა** „ბუდე“. (მაგ., იოვას გესქუფს მარქვალი. „ბუ-
დეში დადებს კვერცხს“). **იოვა** თურქულიდან ნასესხებია ლაზურში. ნ.
მარი კვერცხის დასადებ ბუდედ ასახელებს **ქაცანცელი** ფორმასაც.

ნ. მარის **ქანურ-რუსულ** ლექსიკონში **ობდე** განმარტებულია რო-
გორც ფრინველთა საბუდარი და შედარებულია **ფაცხა-სთან**. ჩვენ მიერ
მოძიებულ მასალაში ფაცხა „საბუდარის“ მნიშვნელობითაა ნახმარი.
მაგ.: ეკულე დიმონჰვენ, ფაცხა დიქიფან, ერ-ეჩღოვითი მარქვალი

ქვემოთქმულან. „შემდეგ დაკრუხდება, ფაცხას გააკეთებენ, ოც-ოცდაათ კერცხს დაუღებენ“.

ქან. ობღე წნელით მოწნული სათაესია. შღრ. მეგრ. ღობზუა „წენა“, ღობილი „მოწნული“, კინით ღობილი „წნელით მოწნული“.

ფაცხას მეგრულში ფართო მნიშვნელობა აქვს მიღებული. ფაცხა — მოწნული ქობია. შღრ. მეგრ. ფეცხი „ფიჩხი“. ფაცხა მხოლოდ ლაზურშია ფრინველთ საბუღრის მნიშვნელობით შემონახული.

მეგრულში ფრინველთ სამწყედევს გგძღგ || გოძღო || გგძღბია ჰქვია. შღრ. (მეგრ.) გგძღგბია — корзина. (აქარ.) გოძღღო. გგძღღს პარალელურად გამოყენებულია ქართულიდან შემოსული გაღია.

ო ტ ი ა კ ა ხ ა ძ ე

ღრი ფონემა ყ არჩიბულში

არჩიბულში დასტურდება ორი ყ ფონემა.

ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა ინტენსივობით (როგორც ფიქრობენ ნ. ტრუბეცკოი და სხვები), არამედ ერთი შკვეთრი ფარინგალური სპირანტია (ყ), ქართული ყ-ს ბაღალი, მეორე — ჟკანაღელარული შკვეთრი ხშული (ყ’):

ღყ „წენი“ — ღყ’ „ნაცარი“

ღყ „ვაცი“ — ყ’ონ „შორის“...

**გაგებისა და გაგებინების შესახებ
სამეტყველო ურთიერთობაში**

გაგებას უშუალოდ უკავშირებენ მნიშვნელობას, ხოლო მნიშვნელობას — კონტექსტს. ტრადიციული დეფინიციით, კონტექსტი აზრობრივად დასრულებული წერილობითი ან ზეპირი მეტყველების მონაკვეთია. რომელიც აუცილებელია მასში შემაგალი ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის აზრის განსაზღვრისათვის. სემანტიკურ თეორიათა რაციონალიზისტური მიმართულებებისთვის ნიშანდობლივია მსჯელობა: „წინადადების ბუკვალური მნიშვნელობა ის მნიშვნელობაა, რომელიც მას აქვს რაიმე კონტექსტისგან დამოუკიდებლად და მიუხედავად დიაქრონიული ცვლილებებისა, იგი ინარჩუნებს ამ მნიშვნელობას ნებისმიერ კონტექსტში, სადაც ის წარმოითქმება“.

ამ ურთიერთსაპირისპირო მსჯელობათაგან ვერც ერთი ვერ ასახავს ადეკვატურად სამეტყველო ურთიერთობის რეალობას. პირველ შემთხვევაში კონტექსტის გაგება ვიწროა, ხოლო მეორეში — საერთოდ უგულვებელყოფილია. სინამდვილეში ადამიანთა სამეტყველო ურთიერთობა და ურთიერთგაგება ბევრად უფრო ფართო (და, ამასთანავე, არა მხოლოდ არტიკულირებულ) კონტექსტს ემყარება, ხოლო „ბუკვალურ“ მნიშვნელობებს ძალიან მარტივ ყოფით ურთიერთობაშიც კი იშვიათად მიმართავენ.

„— აბა, ჩემო დვიძლ დაზედ უფრო უკეთესო დაო! (1) ქალია თუ ვაჟი? — ჰკითხა მოსე გძელაძემ.

(2) — ვაი, რომ ქალია, — უბასუბა შეწუხებულსავით სუტ-კნენინამ.

(3) — როგორ? არ ირთავს?

(4) — არა“.

მოყვანილი დიალოგის მონაწილეთა ურთიერთგაგება გარეკონტექსტისა და სიტუაციას ეფუძნება. იგი უზრუნველყოფილია მოლაპარაკისა და მსმენელისათვის საერთო ფონური მნიშვნელობებით, რომელთაც ვერბალური გამოხატულება არა აქვთ, მაგრამ რომელთა გარეშე გამონათქვამის გაგება ვერ განხორციელდება: გამოუთქმელიც ისევე

წარმოადგენს მნიშვნელობის ნაწილს, როგორც გამოთქმული. ამდენად, როგორც მეტყველების წარმოქმნაში, ისე მის გააზრებულ აღქმაშიც არსებით როლს თამაშობს სამეტყველო და არასამეტყველო კონტექსტთა ერთობლიობა. მხოლოდ ამის გათვალისწინებით მთქმელი აგებინებს და მსმენელი იგებს გამონათქვამს. გამონათქვამებით ხორციელდება კოორდინაცია კომუნიკანტთა ამ ორ პოზიციას შორის.

საუბრის დამწყები (1) გამონათქვამით მიანიშნებს მსმენელს, რომ მისგან იგი გაგებასა და საპასუხო რეაქციას ელის. თანამოსაუბრეებმა იციან, რომ ურთიერთობის ყოველი აქტისათვის აუცილებელი მოთხოვნა ორიენტაცია ურთიერთგაგებაზე, ამიტომ წინასწარ კერეტენ კონკრეტულ სიტუაციაში პარტნიორის შესაძლებლობებსა და გაგების უნარს, რის შესაბამისადაც აგებენ გამონათქვამს.

მოსე გძელაძის მიზანია გარკვეული ინფორმაციის მიღება სუტკენინასაგან, რასაც იგი ცდილობს (1) გამონათქვამით და ვარაუდობს, რომ ამისათვის (1) საკმარისია. სუტკენინას რეაქცია ამ ვარაუდს ამართლებს (ადასტურებს) (2) გამონათქვამით, რასაც მოჰყვება (3) „როგორ? არ ირთავს?“ — სეკვენცია, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა დიალოგური ურთიერთობისას, რათა მიღწეული იყოს სრული გაგება. ინფორმაცია ზუსტდება (4) გამონათქვამით.

როგორც ვხედავთ, სამეტყველო ურთიერთობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გრამატიკულად სწორი წინადადების წარმოქმნის შესების ცოდნა (ენობრივი უნარი, ხომსკის მიხედვით), აუცილებელია ურთიერთობის ამოცანების შესაბამისად სამეტყველო და არასამეტყველო კტევის წარმართვის უნარიც, ანუ კომუნიკაციური უნარი, რომელიც გენეტიკურად და ფუნქციურად ენობრივ უნართან არის დაკავშირებული და რომლის მეტ-ნაკლებად მკაცრი ფორმალურ-ანალიტიკური აპარატი ჭერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული.

ერთი ფონეტიკური კანონზომიერება ბგერათა ფარდობისა: ქართ. ხ (ვ), ხვ (ვვ) — აფხ. ჰ, ჰი (ნასესხებ ფუძეებში) და სვან. მგხგხე („ძმა ძმისთვის“) — აფხ. აჰჰი („სიძე“)

შეინიშნება ქართველურ ენათაგან აფხაზურში შესულ ფუძეებში ხ-ს ადგილას ჰ-ს გამოვლინება. ამ კანონზომიერების ნიადზაგზეა მიღებული ქართველურ ენათა „კალმახ“ სიტყვიდან აფხაზურში აკალმაჰ (ა) და მისთანანი.

ასეთივე თანაფარდობა ვლინდება ქართულ-ქართველურ ენათა ვ-სა და ხ, ჯ თანხმოვანთა ლაბიალურ — ხვ, ჯვ კომპლექსების შესაბამისადაც — აქაც მათ ადგილას ჰი ლაბიალიზებული სპირანტი გამოდის.¹ მაგალითისათვის შეიძლება დაგვესახელებინა, ჩვენი აზრით, ქართულიდან ნასესხები აფხ. აჰიგჰი „მტრედის“ სახელი, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართ. ხოხობი (ძვ. ქართული, საბას მიხედვით — ხ ო ვ ო ბ ი, ილია აბულაძის მიხედვით — ჯოჯობი).

ამავე ბგერათფარდობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აფხაზური ენის „ს ი ძ ი ს“ აღმნიშვნელი ფუძე აჰაჰი.

იგი უნდა მომდინარეობდეს სვანური ენის მგხგხე („ძმა ძმისთვის“) ფუძიდან. როგორც გარკვეულია, მრავლობით რიცხვში ეს სიტყვა „ლა-ხვმა“-ს სახით წარმოგიდგება. მ-ადამიანთა კლასის საერთო ქართველური პრეფიქსია (არნ. ჩიქობავა).

რაც შეეხება მასში ბოლოკიდური ბ თანხმოვნის უქონლობას, იგი ლაბიალიზებული ჰი-ს მეზობლობაში გაუჩინარებულა (ისევე, როგორც ზემოთ განხილული „ხოხობი“-იდან მომდინარე — აფხაზურად გარდაქმნისას — არის გაუჩინარებული აჰიგჰი [← „აჰიგჰიბ“] ფუძეში.

¹ ხვ-ს (||ხო-ს) ჰი-თი გადმოცემა აფხაზურში სხვა ენათაგან შესულ ფუძეებშიაც ჩვეულებრივია, მაგ., ხონთქარ- (აღმოსავლური წარმომავლობისა) იძლევა „ა-ჰიგთქარ“-ს, მაგრამ ბოლოდროინდელ (წიგნური ენის გააზრების ნიადაგზე) ნასესხობებში იგი შეიძლება უცვლელად დარჩეს, შდრ. რუს. ахилъ და აფხ. а-ахилъ.

რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, გამორიცხული არ არის შინა-არსის თვალსაზრისით მიმართებათა გადანაცვლება. ამის საინტერესო მაგალითს იძლევა ქართული ენის დიალექტებიც. კერძოდ, ნ. როსტიაშვილის ცნობით. ფერგიდნულ დიალექტში, მის ალიაბადურ თქმაში „მაზლი“ არის ზამაჟ („ძმა“).

ამის ანალოგიით გამორიცხული არაა აქ განხილულ შემთხვევებშიაც, მითუმეტეს ფუძეთა სესხებისას, მომხდარიყოს მნიშვნელობის ერთგვარი გაფართოება ან დაეწროება.

ნ ო ნ ა მ ა მ ი ს ე ი შ ვ ი ლ ი

ოკაზიური ხმაბაძვითი სიტყვები

ხმაბაძვით სიტყვებს ოკაზიურობის თვალსაზრისით სიტყვაქმნადობის ამოუწურავი რესურსები აქვს. ხმაბაძვით სიტყვათა ყალიბები იძლევიან შესაძლებლობას, უამრავი ახალი სიტყვა შეიქმნას, თუმცა ეს ქმნადობა არ ზღვება ენის სისტემისაგან განყენებულად, რაც განსაზღვრავს კიდევ იმას, რომ ახალი სიტყვა ერთგვარად გასაგებია მოლაპარაკისა და მსმენელისათვის.

ოკაზიური სიტყვების გამოყოფისას ერთგვარი სიძნელეები ჩნდება, ვინაიდან მწერლის ან ენათმეცნიერის მიერ ოკაზიურად ჩათვლილი სიტყვა შეიძლება უზუსტური აღმოჩნდეს რომელიმე დიალექტში. ამ მხრივ საინტერესო მაგალითები ჩვენმა დაკვირვებამაც ცხადყო.

ერთ-ერთმა ცდისპირმა კრაზუნის, კბილით მაგარი ხილის (თხილის) მტვრევისას გამოცემული ყრუ ხმის აღსანიშნავად გამოიყენა სიტყვა „კრაკუნო“. კითხვაზე, მოუსმენია თუ არა ასეთი სიტყვა ან არსებობს თუ არა იგი საერთოდ, მან უპასუხა: ალბათ, არსებობს, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ვთქვი ის, რაც გავიგონეო. შემდეგ ეს სიტყვა მოვიძიეთ დიალექტურ ლექსიკონებში: იგივე ხმიანობა აღნიშნულია სიტყვით კმაკუნო (ზ. იმერ.), იგივეა რაც ცმაკუნო, კრაზუნო („გურ., იმერ., რაჭ.) „თხილისა და მისთ. კბილებით მტვრევა (და ჭამა), ტყვერა“.

ოკაზიური სიტყვების სისტემატური წარმოქმნა ხმაბაძვით ლექსი-
კაში აიხსნება ალიტერაციული გაბგერების შესაძლებლობითა და ოკა-
ზიონალიზმების ექსპრესიული ბუნებით. ისინი აზრის ზუსტად, ექსპრე-
სიულად და, ამავდროს, სუბიექტურად გადმოცემას ემსახურებიან.
დროთა განმავლობაში ამ სუბიექტურმა გამოხატულებამ, შეიძლება,
უზუსტურ ლექსიკაში გადაინაცვლოს, რაც ხმაბაძვითი ლექსიკის გამდიდ-
რებას უწყობს ხელს.

ა ლ ე კ ს ა ნ დ რ ე მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი

კუბაჩური მეტყველების სტატუსი — ენაა თუ დიალექტი

I. აულ კუბაჩის მეტყველება ენაა სოციოლინგვისტური კლასიფი-
კაციით და დიალექტია გენეალოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით.

II. 1925 წლის დაღესტნის მოსახლეობის აღწერის დროს კუბაჩე-
ლები გამოყოფილნი იყვნენ ცალკე. ამას საფუძვლად დაედო:

1. კუბაჩური ენა განსხვავებულია ყველა სხვა დაღესტნური ენები-
საგან,

2. კუბაჩელების საქმიანობა: კუბაჩელები ცნობილი ოქრომჭედლე-
ბი არიან,

3. თავისებური ყოფა-ცხოვრება:

ა) ტანსაცმელი (შდრ. ქალის წამოსასხამი („ააზი“);

ბ) ქურკლეულობა: ყოველი კუბაჩელის ოჯახში ერთი კედელი
დაფარულია თეფშებით. ეს თეფშები გადადიოდა თაობიდან თაობაში
და დიდი სიფრთხილით ინახებოდა. ზოგ ოჯახში შემორჩენილია XIV
საუკუნის თეფში;

გ) კუბაჩელებს ისეთი კარგი ფორმის წყლის დოკები („მუჭალ“) აქვთ და ისე მოხერხებულად ატარებენ ქალები ამ დოკებს, რომ სიბე-
რის დროსაც კუბაჩელ ქალებს წერწყტა ტანი აქვთ.

III. თეითონ კუბაჩელები თავის თავს თვლიან ცალკე ერად, რომ-
ლის სახელწოდებაა შუღბუგან „კუბაჩელი“ (შუღბუგ კუბაჩელები“).

დაღესტნის ყველა სხვა ერის წარმომადგენელს (მათ შორის დარ-გუელებსაც) კუბაჩელები უწოდებენ **ჰაჰალ** (სტუმარი).

IV. კუბაჩელები თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით ცალკე ერია და. როგორც ყველა ერს, მათ გააჩნია თავისი ენა.

ლ ა მ ა რ ა ნ ო ზ ა ძ ე

შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე (ძის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით)

მოსხენებაში განხილულია სხვადასხვა სახის ზოგი არათანმიმდევ-რულობანი, რომლებიც გვხვდება ქეგლ-ში (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, I-VIII ტ., 1950-1954). მოცემულია მათი ახსნის ცდა. წარმოდგენილია შე-საბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობთ, ერ-თგვარად ხელს შეუწყობს ლექსიკონის გაუმჯობესებას.

რ უ ს უ დ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ერთი სპარსული რთული ზმნის კალკი „რუსუდანიანში“

„რუსუდანიანში“ გვხვდება რთული ზმნები, რომლებიც სპარსული ენის კალკს წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი მაგალითი: „მე მაშინვე უზამდი ამა ნადირთა ზედან მგელთა შეემანსა, მაგრამ ამ დღისთენ შევიანახე“. (რუსუდ. 86, 37). საანალიზო შესი-ტყევა შედგება ზმნისაგან — „უზამდი“, რომელიც „ზმა“ ზმნის მყოფა-დის წრის სასხვისო ქცევის ფორმაა და სახელისაგან — „მეემანსა“, რომელიც სპარსული წარმოშობის სიტყვაა. ქართულ წერილობით ძეგლებ-ში (ვისრამიანში, შაჰნავაზიანში, შაჰნამეში) ეს ლექსიკური ერთეული სხვადასხვ სახით გვხვდება: **მავმანი, მეჰმანი, შეემანი. აემანი** (ვისრ.)

— „სპარსულად მასპინძლობა“ Z, მეემანი — „სხვათა ენაჲ, წვეულობას ჰქვიან“ za (საბა).

შესიტყვება **უზამდი მეემანსა** კალკია სპარსული რთული ზმნისა **mehmāni Kardān**, რომელშიც ორივე ნაწილი სპარსული წარმოშობის სიტყვაა: სახელი — **mehmāni** — სტუმრობა, წვეულება, ბანკეტი და ზმნა — **Kardān** „ეთება“, რომელიც საკმაოდ ხშირადაა რთული ზმნის შემადგენელი ნაწილი, ანუ ხშირად მონაწილეობს ზმნურ შესიტყვებებში.

წარმოდგენილი შესიტყვების სახელადი ნაწილი — **მეემანი** — სხვადასხვა ფონეტიკური სახით გვხვდება რთული ზმნების შემადგენლობაში. ამავე დროს, ზმნური ნაწილი სხვადასხვა მწკრივის ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მაგ.:

„ნუენ მეჰმანი გიყოს ღმერთმან, რომელ არცა მასპინძლისათვის გრცხვენინან და არცა ღმრთისა გეშინინან?“ (ვისრამ., 255, 27);

„ალი — ექბერ მეფემ ხუთ დღეს

ზაეარ ფალაეანს და მისთა ლაშქართა მეემანი უყო...“

(ომან., 80, 3);

„ქვეყანა მძორითა ავაესოთ, ნადირთა მათ ზედან

მეემანი უყოთ“ (შაჰნ. 11, 433, 33).

მ ა კ ა ს ა ლ ი ა

მეთევზეობის ლექსიკიდან მეგრულში

საუკუნეთა მანძილზე სამეგრელოში თევზის მოსაპოვებლად მრავალი საშუალება შემუშავებულა. ამჟერად განვიხილავთ თევზსაჭერ მოწყობილობათა ჩგუფს, რომელთაც მეგრულში ზოგადად **ღობილი**, **გეცხირილი**, **გოცხირილი** „დაწნული“ ტერმინებით აღნიშნავენ და მოიცავს სხვადასხვა ზომისა და ფორმის დაწნულ მახეებს. ესენია. **გეჩა**, **კუნო**, **ფაცერი**, **კვახილი**, **და(რ)ჩი**, **გოდორი**, **გორდ(ი)ლული**, **ქუფე**, **ცხეკუ**, **გძღ** || **გძღ**.

მეთევზეთა განმარტება **ღობილი-ი** სიტყვის შესახებ ასეთია: ჩხომიშ ოქოფალო ღობუნა გეჩას, კუნოს... თენფეს **ღობილს** უძახუთ „თევ-

ზის დასაქერად ლობავენ (წნავენ) გეჩას, კუნოს... მათ ლობილს ვეძახით“.

ლობ-ილ-ი საერთო ქართველური **ლობ-** ძირისაგან ნაწარმოები მიმდგობაა. მსგავსი წარმოებისაა **ცხირილი** ფორმაც, რომელიც მეთევზეობის ლექსიკაში **გე-||გო-** ზმნისწინითაა წარმოდგენილი. ზმნისწინები აღნიშნულ სიტყვებს უცელიან სემანტიკას. **გეცხირილი-** ბრტყლად დაწნული თევზსაქერი მოწყობილობაა, **გოცხირილს** კი მრგვლად ლობავენ. ამოსავალი ჩანს **ცხირ-** ძირი, რომლის ზმნური ფორმაა **ცხირუა** „თხლად ლობვა“.

ზოგჯერ სახელდებისას მითითება ხდება აღსანიშნი საგნის ფორმაზე: **გეჩა** — წნელით დაწნული ღარისნაირი მახეა. მდინარეს გადაკედლავენ, ვიწრო ღარში ჩააგდებენ და გეჩაზე მიუშვებენ. წყალი გადის და თევზი ზედ რჩება.

მეგრული **გეჩა** სემანტიკით ახლოს დგას სალიტერატურო ქართულში დადასტურებულ **გეჭა-სთან**; **გეჭა** — ხის დიდი გობი (საბა, ჩუბინაშვილი). **გეჭა** რამდენიმე მნიშვნელობით დადასტურებულია ქართული ენის დიალექტებშიც (მოხ., ქიზიყ., ლეჩხ., მთიულ.).

სამურზაყანულ მეტყველებაში დადასტურებულია თევზსაქერი მოწყობილობის აღმნიშვნელი სიტყვა **და(რ)ჩი**. ინფორმატორის სიტყვით: წყარს მეურჩანა ჰინიშ ლობილს: თენა რე **დარჩი** „წყალს (მდინარეს) მიუდგამენ დაწნულ მახეს და მას დარჩის ვეძახით“.

სამეგრელოში გავრცელებული თევზსაქერი მახეა **კუნო** — კალათისმაგვარი სათევზაო ძარა (ი. ყიფშიძე, პ. ჯარაია). ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში **კუნო-ს** რამდენიმე განმარტებაა მოცემული: ა) **კუნო** კვარკვლიათ რე გოცხირილი, მელანიშ შუშაძალი „კუნო სამელნე შუშის ფორმით მრგვლადაა შემოდობილი“; ბ) **კუნო** გილადალარ რე, უკულ ინაშქუანა წყარს „კუნო ხელით სატარებელი მახეა, რომელსაც მდინარეში დგამენ“; გ) **კუნო** — ჟირ გიდელ რე ლობილი ართიანც ინოდგ, გენუურკ ჩხომინ აშო ვათართინე „ორი დაწნული გოდორია ერთმანეთში ჩადგმული, იქ შესული თევზი უკან ვერ გამოდის“.

კუნო სახელს სემანტიკურად უკავშირებენ **კონის**, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „ქვემოლამ აღმავლის თევზის საბყრობი გოდორი ბირშექეულითა“.

კუნოს აღსანიშნავად მეგრულში ვვაქვს ქართულიდან შეთვისებული გოდორი ან კიდევ გოდ(ი)ოლო, || გოდოთუ გოდორი". (აბაშა, მარტვილი); გგძლ || გიძლ (აჩიგვარა), შდრ. გგძღვბია — корзина (ი. ყიფშიძე).

როგორც ჩანს, ერთი და იგივე მოწყობილობა სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში განსხვავებული ტერმინებითაა წარმოდგენილი.

გოდრის მსგავსად შემოღობილ ხელსაწყოს ჩადგამენ წყალში და ქვით ააფხებენ თევზების დასაბუღებლად. აღნიშნულ მოწყობილობას ქუფეს ეძახიან. ჩვენი ვარაუდით ქუფე კომპოზიტია, მიღებული ორი სიტყვის შეერთებით: ქუა + ფა (||ფენა) (ქვა + ფენა).

ქუფეს ბანძურ-მარტივლურში ცხეკუს ეძახიან. ი. ყიფშიძის განმარტებით, ცხეკო — хвощ. ср. ჩხვერკი, შესაძლებელია წყალში ჩადგმულ გოდორს „ცხვეკებითაც“ აფხებდნენ.

მეგრულში დაცულია ერთ-ერთი თევზსაჭერი მოწყობილობის აღნიშნული ტერმინი კვახირო || კვახილი. — მდინარეს გადაკედლავენ და ერთგან დაუტოვებენ შესასვლელს, რომელიც გაღის წრიულ შემოღობილში. ამ შემოღობილს ეწოდება კვახირო || კვახილი.

კვახიროს გაწყობის განსხვავებული წესია მარტვილში: „მდინარეზე გადებენ ქოკს ან ხეს. მას მიაყრდნობენ ჩელტს და გაუკეთებენ ორ გამოსასვლელს, რომლებსაც მიუდგამენ გორდოულებს სხვადასხვა მხარეს, რათა დაიჭირონ როგორც აღმა, ისე დაღმა მოძრავი თევზი“ (ბ. ცხადაია).

კვახირო მეგრულივე კვახუა „გაკეცება“ ზმნისაგან უნდა იყოს მიღებული. სანელდება ზდება აღნიშნული ხელსაწყოთა გაწყობის პრინციპის მიხედვით.

სულის ხსენების გამოხატვა ქართველურ ენებში

1. სვანურ ენაში ძალიან მცირეა ძირეული სიტყვების რიცხვი ნა-სესხებ და ისეთ სიტყვათა სიმრავლესთან შედარებით, რომლებიც არ შეიძლება არ გაირკვეს მონათესავე ენებიდან (გ. ლეიტერსი).

2. ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით არაერთი ქართული რელიგიური ტერმინი ისესხეს სხვადასხვა დროს როგორც სვანურმა, ისე მეგრულ-ქანურმა ენებმა. ამასთანავე შეინიშნება, რომ ლექსებათა ნაწილი უმწერლობა ქართველურ ენებში შესულია ქართული გრამატიკული ინვენტარით, ნაწილში კი მხოლოდ ამოსავალი ძირია და-ცული.

3. ქართულიდან ნასესხებ ლექსიკაზე დიდი გავლენა მოუხდენია სვანური ენის უქთაურეს ფონოლოგიურ მოვლენას — უმლაუტს. ამ შემთხვევაში ლაშხურში, განსხვავებით სხვა (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ჩოლურული) დიალექტებისაგან, ჩვეულებრივ, დაცულია ხოლმე ამოსავალი ვითარება.

4. ამჯერად ჩვენ ვიმსჯელებთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტერმინზე, ესაა **სინიმოხსნაზ** (ზზ.), **სინმოხსნაზ** (ბქ.) — „სულის მოხსენება“. ქვემო სვანურში იგივე ერთენობიანი კომპოზიტი დასტურდება, ოღონდ პირველ კომპონენტად სხვა ძირი გვხვდება (**ქჷინიმოხსნაზ** — ლნტ., **ქჷნიმოხსნაზ** — ლშზ., შდრ. **ქჷინილიორშჷნი** — ჩოლ.), რომელიც **სინიმოხსნაზ** ლექსემის პარალელურად იშვიათად ბალსზემოურ დიალექტშიც შეიძლება შეგვხვდეს (**ქჷინიმოხსნაზ**). ორსავე შემთხვევაში, სულერთია ძირი **სინ-** არის თუ **ქჷინ-/ქჷნ-**, დაკარგულია ნათესაობითი ბრუნვის მორფემის (-იშ) თანმცენითი ელემენტი.

5. ბალსქვემოური დიალექტის სხვადასხვა კილოკავი ერთმანეთს უპირისპირდება საანალიზო ლექსემის ნაირ-ნაირ ფონეტიკურ ვარიანტთა გამოყენების თვალსაზრისით: **სინმოხსნაზ** (ბეჩ.), **სჷნიმოხსნაზ** || **სინოხსნაზ** (ცხუმ.), **სინოხსნოზ** (ლხმ.). ვფიქრობთ, პროფ. მ. ქალდანის „სვანური ენის ფონეტიკაში“ წარმოდგენილი ფორმა **სჷნიმოხსნაზ** (გვ. 29) პეტათეზისის შედეგია (**სჷნიმოხსნაზ** > **სჷნიმოხსნაზ**); ყველა

შემთხვევაში ბალსკვემოური დიალექტის მონაცემებში მთლიანადაა და-
კარგული ნათესაობითი ბრუნვის მორფემა.

6. აკად. ნ. მარიდან მოყოლებული დღემდე არაერთ მკვლევარს
(გ. მაქავარიანი, შ. ფენრიხი, ზ. სარჭველაძე, ...) უტვია ქუნ- ძირის
ეტიმოლოგიის გარკვევა ქართველური ენების მონაცემთა მიხედვით, მაგ-
რამ, ვფიქრობთ. რომ სევანური ქუნ > ქჷონ ყველაზე ადვილად იხსნება
ძველი ქართული აღ-მო-ქჷონ-გ-ა („ამოსუნთქვა“) ფორმიდან ამოსვლით
(გ. მაქავარიანი). აქვე შეიძლება დაგვემატებინა სხვა სონორის შე-
მცველი ძირი: აღ-ქჷმ-ა || აღ-მო-ქჷმ-ა („აქოშინება“), აღ-მო-ქჷმ-
ულ-ო („ნათლული“). ლ/რ/მ/ნ თანხმოვანთა მონაცვლეობა ცნობილი
ფაქტია ქართველურ ენებში, რასაც ადასტურებს, ერთი მხრივ, ქართუ-
ლი ხულ-სხუნ- ძირთა არსებობა და, მეორე მხრივ, სევანური ენის ჩო-
ლურული დიალექტის მონაცემები: ქულა („სუნება“), ქულ („შებერვა“),
ქუნაგ („სული“), შდრ. ზს/ლნტ. ქჷონ, ლშხ. ქუნ („სული, სუნი“), ქუ-
ნეგ^ა („ყნოსვა“)...

7. ვფიქრობთ, რომ როგორც ქჷონიშოხსნაზ, ისე
ხ^რჷ^ნინ^ოშოხსნაზ სევანურში ნასესხებია ქართული ენიდან სევანეთში
ქრისტიანული ლიტურგიკის გავრცელების შემდეგ, ოღონდ სხვადასხვა
ქრონოლოგიურ სიბრტყეზე: ხ^რჷ^ნინ- ძირის შემცველი კომპოზიტი შე-
დარებით გვიანდელ დონეს უნდა განეკუთვნებოდეს.

8. საანალიზო ლექსემაში ფონეტიკურ პროცესთა განვითარების
უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით შემდეგი სურათი იხატება:

ქართ. ხუნ/ლ-ის მო-ხსენ-ებ-ა > სევან. ხჷნ-იშ მო-ხსენ-აზ >
ხჷნ-ი-შოხსნ-აზ > სინ-ი-შოხსნ-აზ > ხინ-მო-ხსნ-აზ > ხინოზ-სნაზ ან
ხჷნ-ი-მო-ხსნ-აზ > ხჷნ-მო-ხსნ-აზ > ხჷნოხსნაზ > ხჷნოხსნაზ.

9. საანალიზო ტერმინები სევანურ ტექსტთა პუბლიკაციებში ხან
დღისით წერია, ხან კი — ცალ-ცალკე. რაკი ისტორიულად მსა-
ზღვრელ-საზღვრულის შემცველი სინტაგმა უკვე ჩამოყალიბდა ერთცნე-
ბიან კომპოზიტად, ამიტომ როგორც ქჷონიშოხსნაზ, ისე ხ^რჷ^ნინ^ო
შოხსნაზ უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო, რაც შეეხება ჩოლურულ
ქჷონ-არ-ე ლი-რ-შჷნ-ი („სულების ხსენება“)ს, როგორც მსაზღვრელ-
საზღვრულს, ის უნდა დაიწეროს ცალ-ცალკე.

ერთი ქართველური შესატყვისობა და მასთან დაკავშირებული ფორმალური და სემანტიკური საკითხები

დღევანდელ მეგრულში ღაქუა „ღეჰვა“ (ღაქ-უნ-ს „ღეჰვას“, დღ-ღაქ-უ „დაღეჰვა“) და ღაქუა „გაკრეჰვა“ (ღაქ-უნ-ს „კრეჰს“, გღ-ღაქ-უ „გაკრეჰვა“) ომონიმური ფორმებია. თუმცა ისტორიულად ღაქ- ფუძე შეიძლება პოლისემიურიც იყოს; — ჰანურში „გაკრეჰის“ მნიშვნელობით დაცულია ღვანჰ-(-ღაქ) ფონეტიკურად სახეცვლილი ფუძე: ანლაუტში ველარული ღ-ს მომდევნოდ განვითარებული ჩანს ვ, ხოლო აუსლაუტში ჰ-ს წინა პოზიციაში — ნ (გ. კარტოზია). აღსანიშნავია, რომ პ. ჰარაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ღაქუა „ღვანჰუა“ და „ღეჰვა“ მნიშვნელობებით არის განმარტებული. (სემანტიკური ანალოგიისათვის შდრ.: ქართ. წეწკავ-ს: მეგრ. წკანწკუნ-ს „ღეჰვას“).

მეგრ. ღაღ-უ-ა „ღეჰვა“; „გაკრეჰვა, ჰან. ღვანჰ-უ-ა „გაკრეჰვა“ ფორმები კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. ღეჰ-ვა (შდრ., საბა: ღეჰა „მცირე ცოხნა“) ზმნური ფუძისა (გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ღეჰვა ზმნურ ლექსე-მას ძირითადი მნიშვნელობის გარდა გადატანითი მნიშვნელობაც აქვს: 1. კბილებით საქმლის დანამცეცება, დანაყვა... 2. გადატ. გაჰიანურებით ლაბარაკი (კითხვა) ქეგლ VII, „გაკრეჰის“ მნიშვნელობა ღეჰვა ფორმას აქ არ უჩანს. მეგრულისა და ჰანურის სათანადო ფუძეებთან მიმართებით, როგორც ფორმის, ასევე ფუნქციის თვალსაზრისით, საყურადღებოა დიალექტური (გურული) ღნაჰვა „ბლაგვი მაკრატლით ჰრა“, რომელიც ზანიზში ჩანს და ხვესურული ღენჰვა „გაკრეჰვა“ (ა. ჰინჰარაული). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე ქართულ-ზანურ დონეზე *ღეჰ-ზმნური ფუძე პოლისემიური იყო.

როგორც ცნობილია, ქართული ღეჰ- ფუძის შესატყვისი მეგრული და ჰანური ფორმები არ ექვემდებარება ქართველურ ენებში დადგენილ ბგერათშესატყვისობის წესებს, კერძოდ: ძირეული მორაფემის აუსლაუტში მოსალოდნელი ჰკ კომპლექსის ნაცვლად (ქართ. ჰ: მეგრ., ჰან., ჰკ) გვაქვს ჰ (ქართ. ღეჰ-ვა: მეგრ. ღაქ-უ-ა, ჰან. ღვანჰ-უ-ა). აუს-

ლაუტში მოსალოდნელ ქვ კომპლექსში დაიკარგა (ან არ განვითარებულა) ველარული თანხმოვანი (კ), ანლაუტის ღ თანხმოვნის დისიმილაციური ზეგავლენით (გ. მაქავარიანი).

მეგრულში ღაქ-უა ფორმის პარალელურად ღანქკ-უა ფორმის არსებობა ანალოგიურ ფონეტიკურ გარემოცვაში ამ ფონეტიკური პროცესის (ქვ ≲ კ) რაობის საკითხსაც სვამს.

თ ე ღ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე

მარცვლის ბუნებისათვის ქართული სიტყვის ბოლოს

ცნობილი და აპრობირებული დებულებების მიხედვით ქართული ძირის კანონიკური სახეა CVC, ხოლო სუფიქსისა -VC. ამ საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვის ბოლოს ქართულისთვის ბუნებრივია დახურული მარცვალი. ამ თვისების გავლენას უნდა მივიწეროს სიტყვათა ბოლოს ხმოვანთა მოკვეცა ქართული ენის დიალექტებში.

ტ ა რ ი ე ლ ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე

დიალექტი და უმწერლობა ენა (მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის)

თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა მერყეობს 4 000-დან 7 000-მდე. ასეთ სხვაობას ქმნის სამეტყველო ერთეულთა ენად თუ დიალექტად მიჩნევის სირთულე და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობა. დღეს მსოფლიოში არსებული სამეტყველო ერთეულები ენებად და დიალექტებად დახარისხებული არ არის ბევრათშესატყვისობის, გაგებიანების თუ სხვა ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედ-

ვით; ჩვენი დაკვირვებით, კვალიფიკაციისას უფრო არსებითი როლი ენიჭება მოცემული ენობრივი ერთეულის მფლობელი საზოგადოების მიმართებას ზოგად ეთნოკულტურულ სისტემასთან, ძირითადად კი, საერთო-სახალხო სამწიგნობრო ენის კმნალობის პროცესთან; აქედან გამოდინარე:

დიალექტი არის მოცემული ხალხის (ერის, ნაციის) საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით: კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე სალიტერატურო ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი მოცემული სამეტყველო კოდის მფლობელ ხალხს ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს ამ სამწიგნობრო ენის შექმნაში.

შესაბამისად, **უმწერლობო ენად** უნდა მივიჩნიოთ იმ საზოგადოების მეტყველება, რომლის მფლობელ ხალხს ისტორიულად მონაწილეობა არ მიუღია საერთო-სახალხო სამწიგნობრო ენის (წერილობითი კულტურის) შექმნაში და შემოკმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა ენას.

ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

სტეფანე პაოლინისა და ნიკოფორე ირბანის „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ ბერძნული ლექსიკის შესახებ

1. მოხსენებაში ვაგრძელებთ მსჯელობას XVII საუკუნის „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ ქართულ სიტყუევანში დადასტურებული ბერძნული სიტყუეების შესახებ:

1. ბალა bala Palla, da giocare.¹

ბალა — ახ. ბერძნ. μπάλα — საშ. ბერძნ. μπάλα — იტალ. palla „ბურთი“.

აქ შესაძლოა, გვეფიქრა, რომ ლექსიკონში უთარგმნელად არის გადმოტანილი იტალიური სიტყვა და ბერძნული არაფერ შუაშია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასე რომ ყოფილიყო, სტეფანე პაოლინი სიტყვის ტრანსკრიფციაში ორ l-ს დაწერდა. ვფიქრობთ, ამგვარადაც იტალიური სიტყვის ბერძნული ვარიანტია ლექსიკონში მოხვედრილი და არა პირდაპირ იტალიური.

2. ვერნიხი vernichi Vernice.

ვერნიხი — ბერძნ. Βερνίκι (το).

ამ ბერძნულ სიტყვასა და მის იტალიურ შესატყვისს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ლაქი, პალიტურა, საცხი; ვერნისაფი.

3. იემონი jemon Capitano.

იემონი — ηγεμόνας(ο) — ძვ. ბერძნ. ἡγεμᾶς „წინამძღოლი, მეთაური“.

ამ სიტყვას ძველი ბერძნული წაკითხვით დღესაც ვიყენებთ — ჰეგემონი. „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“ კი იგივე სიტყვა ახალი ბერძნულის ორთოეპითაა დადასტურებული.

4. იოფირი iofiri Ponte

იოფირი — ახ. ბერძნ. γέφυρα

თანამედროვე სასაუბრო ბერძნულში ეს სიტყვა ასე ჟღერს: იეფირა. ფირმა იოფირი ჩვენს ხელთ არსებული ლექსიკონების მიხედვით ვერ დავადასტურეთ.

5. თისია tisfia Sacrificio

თისია — ახ. ბერძნ. θυσία(η) „მსხვერპლშეწირვა“.

6. ლიმონა limiona Porto

იტალიური შესატყვისი Porto ნავსადგომს, პორტს აღნიშნავს. თანამედროვე ბერძნ. ენის ლექსიკონებში სიტყვა ამ ფორმითაა:

¹ „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“ სიტყვები სამ რიგადაა განლაგებული: პირველში ქართული ანბანით დაწერილი ქართული სიტყვანია, მეორეში — მათი ლათინური ტრანსკრიფცია, მესამეში — იტალიური შესატყვისები.

ლიმანი (το) — თურქ. liman ← სპ. ბერძ. λιμάνιον, კნინ. ფორმა ძე. ბერძნ. λιμῆν „ნავსადგომი“.

ძველი ბერძნულის ფორმაა საბას ლექსიკონშიც: „ლიმენა ელლენებრივ ნავთ-საყუდელი“.

„ქართული-იტალიურ ლექსიკონში“ მოცემული ფორმა ლიმიონა კი მხოლოდ ახ. ბერძნ. ენის პონტოური დიალექტის ლექსიკონში დასტურდება: λιμῆνας ბ.

7. ლინარე limare lino

ლინარე — ახ. ბერძნ. λιμᾶρι (το) ← სპ. ბერძნ. λιμᾶρις ძე. ბერძნ. λιμῶν „სელი“:

8. მეტანიომა metanioma Pentimento

მეტანიომა — μετάν(ο)λωμα το „სინანული“, იგივეა, რაც μετάνοια — ძე. ბერძნ. μετάνοια — μετα-ნოს „მოვინანიებ“.

9. პირონ piron Forchetta

პირონ — ახ. ბერძნ. πειρόνι (το) „ჩანგალი“ ← სპ. ბერძნ. πειρόνιον კნინ. ძე. ბერძნ. πειρόνι „ჩანგალი“.

10. მესსიტი meffite Mezzano

მესსიტი — ახ. ბერძნ. μεσσίτης ὁ შუამავალი.

შლრ. საბა: მესიტი (უცხ.) შუამდგომელი.

11. პროფიტი profite Profeta

პროფიტი — ახ. ბერძნ. προφήτης „წინასწარმეტყველი“ ← ძე. προφήτης — პროფῆμ (προ-ლევ) „წინასწარ ვამბობ“.

12. პროფეთია Profitia Profezia

პროფეთია — ახ. ბერძნ. προφητεία(η) ← სპ. ბერძნ. προφητεία — პროფიუტეა წინასწარმეტყველება.

13. სინაკსის sinakfis Confegliato

სინაკსის — სინაქი (η) სპ. ←. სინაქის — სინაქთა თავმოყრა (შლრ. სინაგოგა).

14. სინაკსიმენი fonakfimeni Confegliato

სინაკსიმენა — სინაქიმენი მოწვეული.

15. პალამიციო palamizo Spalmare

პალამიციო — ბერძნ. παλαμίζω „ვპობავ“.

16. ღარღარიციო gargarizo Spargarizale

ღარღარიციო — γαργαρίζω „ყელს ვიწმენდ, ვირეცხავ“.

2. დაბოლოს, შევეცდებით, აეხსნათ ლექსიკონში დადასტურებულ ბერძნულ სიტყვათა გადმოცემის ერთი თავისებურება: კერძოდ, ბერძნული ζ (ძეტა) გადმოტანა ქართული ც (ცანით): პალამიცო (παλαμίζω), ლარლარიცო (λαρλαρίζω), ცახარი (ζάχαρι), ცოა (ζωά), ცონარი (ζώνη) და სხვ.

სტეფანე პოლინისა და ნიკიფორე ირბახის „ქართულ-იტალიურ ლექსიონს“ წინ უძღვის ქართული ანბანი და ტრანსლიტერაციის წესები, სადაც ც ასო ასეა გადმოცემული.

ც Z, z, ζ come in ital. zoppo.

მაშასადამე, ც ელერს ისე, როგორც იტალიური z სიტყვაში zoppo — ძობპო. ცხადია, პოლინის ქართული ც ასო მიაჩნია ძ ბგერის გადმომცემად.¹ ძ ასო, მართალია, შეაქვეს ანბანში, მაგრამ გაურკვეველად ხსნის. სიტყვები კი ძ ასოზე საერთოდ არ არის ლექსიკონში შეტანილი.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, ვინაიდან პოლინი ძ ბგერის გამოშხატველად მიიჩნევს ც ასოს, ეს არის მიზეზი იმისა, რომ თითქმის ყველგან ბერძნული ζ (ძეტა) გადმოცემულია ქართული ც (ცან) ასოთი.

მ ი ხ ე ლ ქ უ რ ღ ი ა ნ ი

ენა — ქაოსის მოღველირებისა და კატასტროფათა თეორიის თვალსაზრისით. I

ენა (არსი) ემპირიაში არ გვეძლევა სხვაგვარად, თუ არა დიალექტების (მოვლენის) სახით. არც ერთი დიალექტი (მოვლენა) არ ამოწურავს ენას (არსს), არ არის მისი ადეკვატური და იდენტური. ეს ენება ენობრივი სისტემის ყველა იერარქიულ დონეს.

მოვლენებო განსხვავებებიან არა მხოლოდ არსისაგან, არამედ ერთმანეთისგანაც. ეს განსხვავებები დიალექტებს (მოვლენებს) შორის არის მეტ-ნაკლები, მაგრამ მხოლოდ რაოდენობრივი და არა თვისობრი-

¹ იტალიური ენის საკითხებზე კონსულტაციებისათვის მადლობას ვუხდით თამარ ელენტს.

ვი (წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა არა ერთი ენის დიალექტები, არამედ მონათესავე ენები).

ბუნებრივი ენა დინამიკური სისტემაა — ცვალებადი დროსა და სივრცეში, მაგრამ ის იცვლება არა მხოლოდ შინაგანი კანონზომიერების თანახმად, არამედ გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებითაც.

ერთი ენის ყველა დიალექტს შეიძლება არ ჰქონდეს ერთმანეთთან უშუალო კონტაქტი, მეტიც, შეიძლება ენის გავრცელების ტერიტორიის მასშტაბების, რელიეფის ან რაიმე სხვა მიზეზით ერთი ენის ზოგიერთ დიალექტს საერთოდ არც ჰქონდეს რაიმე კონტაქტი სხვა დიალექტებთან. მაგრამ სავარაუდოა მათი უშუალო და აქტიური ენობრივი კონტაქტები სხვა, მონათესავე ან არამონათესავე, ენობრივ ერთეულებთან. არ არის გამორიცხული, რომ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტს ასეთი კონტაქტი განსხვავებული ენების დიალექტებთან და ზოგჯერ რამდენიმესთან ერთდროულად ჰქონდეს და ეს კონტაქტები ერთი ენის ამა თუ იმ დიალექტისათვის პრინციპულად არაერთნაირი დინამიკით, ხანგრძლივობით, ინტენსივობით და ა.შ. ხორციელდებოდა. შესაბამისად, მოვლენებისათვის ნიშანდობლივი განსხვავება როგორც არსისაგან, ასევე ერთმანეთისაგან სულ უფრო მზარდ და შეუქცევად ხასიათს უნდა იძენდეს.

ამდენად, სრულიად კორექტული იქნება, თუ ენა (ენები) განზილული იქნება როგორც თვითორგანიზებადი დინამიკური სისტემა, ერთგვარი ატრაქტორი, რომელიც არსებობს დროსა და სივრცეში ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული არასტაბილური წონასწორობის მდგომარეობაში მყოფი სტრუქტურული ელემენტების პარალელური იერარქიების ერთობლიობის სახით — რომელთაგან თითოეულზე ცალცალკე, მაგრამ ერთ სინქრონიულ ქრილში ზემოქმედებენ სხვადასხვა სიმძლავრისა და ხასიათის გარეგანი ხმაურები — ფლუქტუაციები, რომლებიც ამ ისედაც არასტაბილურ სიტუაციაში ზრდიან ენტროპიის ხარისხს. სისტემა მიისწრაფვის კატასტროფისაკენ.

სტრუქტურული ელემენტების პარალელური იერარქიების (დიალექტების) იერარქიულ დონეთაგან ფლუქტუაციებისადმი ყველაზე მგრძობიარე — ლექსიკაა. ბუნებრივი ენის ლექსიკური ფონდი წარმოადგენს ყველა, გამონაკლისის გარეშე, დიალექტის ლექსიკური ფონდების ჯამს — ანუ ქაოსს. ქაოსის მასშტაბები ჩვენთვის უცნობია პარალელუ-

რი იერარქიების რაოდენობრივი დესკრიფციების დომინანტურობის გამო. მოვლენათა მიხედვით არსის კონსტრუირების ამოცანის იგნორირება აბრკოლებს ქაოსის მოდელირებას.

სწორედ ლექსიკა ავლენს ყველაზე ადრე დიალექტის სწრაფვას კატასტროფისაკენ ფლუქტუაციების ზემოქმედებით.

კატასტროფისწინა მდგომარეობის განსაზღვრა შესაძლებელია ძირეული (საბაზო) ლექსიკის (სხეულის ნაწილთა, ნათესაობის და სხვ. აღმნიშვნელი სიტყვები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები...) ჩანაცვლების ტენდენციით, ან ფაქტით კონტაქტის შედეგად ნასესხობების კატასტროფის ტემპების კი სტატისტიკურად სხვადასხვა სინქრონიული დონის მონაცემების (ასეთთა არსებობის შემთხვევაში) შედარების გზით (ცვლილებათა მზარდი პროგრესიის გათვალისწინებით), ან (ასეთთა არარსებობის შემთხვევაში) კონკრეტული ენის ყველა დიალექტის ლექსიკური ფონდის სრული კომპიუტერული ბაზების შექმნით, რომლებიც პერმანენტულად დააფიქსირებენ ცვლილებებს და ცვლილებებისკენ ტენდენციებს.

ეს განსაკუთრებით ეხება იმ დიალექტებს, რომლებიც უცხო ქვეყნის, ან ისეთ ტერიტორიაზეა პოზიციური, სადაც მათ ბუნებრივ სწრაფვაში კატასტროფისაკენ კატალიზატორის როლს ასრულებენ სხვა, გენეტიკურად მონათესავე ან არამონათესავე, ენები, ფუნქციონირების სახელმწიფოებრივი სტატუსით.

სახელმწიფო ენათა გარემოცვაში მოხვედრილი მათივე ან სხვა ენათა გენეტიკური დიალექტები რეალურად მათი სოციოლინგვისტური დიალექტები ხდებიან და აგრძელებენ არსებობას დიგლოსიის (მონოლინგვური ან ბილინგვური დიგლოსიის). პირობებში, ვიდრე სახელმწიფო (ეროვნული) ენის მაღალი პრესტიჟით სტიმულირებული გარდაუვალი ლექსიკური კატასტროფა არ განხორციელდება.

აქ დგება პრობლემა ბუნებრივი ენის (არსის), რომელიც ემპირიაში მოცემულია მხოლოდ დიალექტების (მოვლენების) სახით და სახელმწიფო (ეროვნული, ლიტერატურული) ენის ურთიერთმიმართების შესახებ — ეს უკანააკნელი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პირველის ქვესისტემა (დიალექტების მსგავსად და თანაბრად), მათ შორის პრინციპული სხვაობაა: დიალექტებით გამოვლენილი ენა ბუნებრივი სისტემაა, სახელმწიფო ენა კი ხელოვნური. იმ გაგებით, რა გაგებითაც

ხელოვნურია არხი ბუნებრივ სრუტესთან შედარებით (მაგ. პანამის ან სუეცის არხი მაგელანის ან გიბრალტარის სრუტეებთან შედარებით). არხში გამავალი წყალიც ბუნებრივია და ნიადაგიც, რომელშიც ის არის გაქრილი, ხელოვნური მისი კალაპორტია და ეს ქმნის პრინციპულ სხვაობას.

თუ ბუნებრივი ენა (ენები) შეიძლება განხილულ იქნენ როგორც თვითორგანიზებადი სისტემები, — სახელმწიფო ენები მართვადი სისტემებია. ისინი რეგულირდებიან კონვენციური ნორმებით ისევე, როგორც არხები შლუზებით, განსხვავებით სრუტეებისაგან, რომლებიც თავის ფუნქციონირებაში ჩაჩვენას არ საჭიროებენ.

სივრცესა და დროში ბუნებრივი ენების, როგორც თვითორგანიზებადი სისტემების პარალელურად არსებობენ სახელმწიფო ენები, როგორც მართვადი სისტემები. სხვადასხვა მიზეზის გამო ყველა ბუნებრივ ენას როდი ჩამოუყალიბდა ხელოვნური პარალელი.

თვითორგანიზებადი სისტემების პარალელურად მათივე კონიზე კონსტრუირებული მართვადი სისტემის არსებობა, რომელიც პოლივალენტურია, სტაბილური და მათზე ბევრად პრესტიჟული, რის გამოც მასთან მიმართებაში ისინი (ან მათი უმეტესობა) დიგლოსიის პირობებში იმყოფებიან, აბრკოლებს ფლუქტუაციებს, ამცირებს ენტროპიას და ავადებს კატასტროფის მომენტს, თუმცა არ შეუძლია მოხსნას მისი მოხდენის საშიშროება. იმავდროულად მართვადი სისტემა კატასტროფის მასტიმულირებელ ანუ კატალიზატორის როლს ასრულებს მისივე სოციოლინგვისტურ დიალექტად ქცეული მონათესავე თუ არამონათესავე ენობრივი ერთეულებისათვის.

თუ რომელიმე სახელმწიფო ენის სოციოლინგვისტურ დიალექტად ქცეულ რომელიმე ერთეულს აქვს რომელიმე სხვა ქვეყანაში ენის (სოციოლინგვისტური გაგებით) ფუნქცია, სტატუსი, ან ამ ენობრივ ერთეულს აქვს „დიდი ტრადიციის“ ხსოვნა, რეალური თუ მითოლოგიური, მაშინ ის იმუშავებს გარკვეულ იმუნიტეტს, რომელიც აბრკოლებს კატასტროფისაკენ სწრაფვას: ასეთი ენობრივი ერთეულები თავის იმუნიტეტს არა მარტო ძირითადი ლექსიკური ფონდის შენარჩუნებაში ავლენენ, არამედ ტერმინთქმნადობაშიც.

გონივრული პოლიტიკის პირობებში სახელმწიფო ენას შეუძლია მართოს მისივე პარალელური ბუნებრივი ენის გენეტიკური დიალექტე-

ბი, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მათი გავრცელების გამო უცხო სახელ-
წიფო ენის სოციოლინგვისტური დიალექტის ფუნქციით რომ არიან აღ-
ქურვილი, და დააბრკოლოს მათი სწრაფვა კატასტროფისკენ.

თ ი ნ ა თ ი ნ ლ ვ ი ნ ა ძ ე

პარონიმები ქართულში

აკად. ვარლამ თოფურია თავის ლექციებში და ნაშრომებში დიდ ყურადღებას უთმობდა ლექსიკური სტილისტიკის პრაქტიკულ საკითხებს. ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი გასული საუკუნის 30-იან წლებში დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის მსმენელებისათვის წაკითხული ლექციების კურსში საუბრობდა ასეთ საკითხებზე. ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში კი — „ქართული ენა და მართლწერის ზოგერთი საკითხი.“ (1965 წ.) საკუთრივ ორთოგრაფიული და გრამატიკულ-ორთოგრაფიული საკითხების გარდა ავტორი სპეციალურად განიხილავს კონტექსტის შინაარსის შესაფერისად სიტყვის მოხმარების თავისებურებას (მაგ. სინონიმებთან დაკავშირებით).

ამ რიგის ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკური საკითხია პარონიმებიც. მათ განიხილავენ სინონიმების, ომონიმებისა და ანტონიმების გვერდით. პარონიმებად მიიჩნევენ მნიშვნელობით განსხვავებულ, წარმოთქმითა და ლექსიკურ-გრამატიკულად მსგავს სიტყვებს, რომელთა ბგერობრივი მსგავსება მათი შენაცვლების მიზეზი შეიძლება გახდეს სიტყვანმარებისას.

პარონიმების (paronymia) შენაცვლება არის პარონიმია. განახლებებენ განგებ (მიზნობრივ) შენაცვლებას და შემთხვევით (უზნებლივ) შენაცვლებას. ენათმეცნიერული სტილისტიკა შეისწავლის პარონიმების შემთხვევითი შენაცვლების ფაქტებს მათი გამოვლინებისა და ანალიზის გზით.

ქართულ ენაში პარონიმების არსებობის შესახებ პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო აღნიშნული და ძირითადად სხვა ენებიდან მომდინარე პარონიმების გვერდით საკუთრივ ქართული პარო-

ნიმუხების რამდენიმე წყვილიც იყო დასახელებული (მცნება — ცნება, ეწ-
ია — ეწვია, განზოგადება — განსაზოგადოება).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (1950-1964 წ.წ.) ლი-
ტერატურის ფაქტებით არის დადასტურებული ქართულ ენაში პარონი-
მების არსებობა (მოვალე — მევალე, საცოლვე — საცოლო, მოთხოვნა
— მოთხოვნილება და მისთ.), როცა მათი სინონიმებად მოხმარება არის
შენიშნული.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მესამე, შევსებულ გამოცემაში
(1989 წ.) არის შეტანილი პარონიმების განმარტება. ასეთებად მიჩნეუ-
ლია შემთხვევივით მსგავსი მაისი — დაისი, კბენა — რბენა წყვილები. პა-
რონიმებისთვის შემთხვევითი მსგავსება გამორიცხული არ არის, მაგრამ
მათი დეფინიციისათვის მთავარი და გადამწყვეტია საერთო (ან მსგავსი)
ძირიდან წარმომავლობა და შენაცვლების შესაძლებლობა.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, სხვადასხვა ფუნ-
ქციური სტილის მეტყველებაში შეინიშნება პარონიმი, გამოვლინდება
პარონიმების სულ ახალ-ახალი წყვილები. მათი შესწავლა-გაანალიზება
თანამედროვე ქართული სიტყვაზმარების აქტუალურ პრობლემად იქცა.
ცალკე საკითხია უცხო სიტყვათა პარონიმი (კამპანია — კომპანია, პე-
ნალი — პენალტი ტიპისა) და ცალკე — უცხო ძირიდან ქართული
აფიქსებით ნაწარმოები პარონიმები (მასიური — მასობრივი, კორექტუ-
ლი — კორექტურული ანდა სტილისტური — სტილისტიკური ტიპისა).
ამგვარად ნაწარმოები ზედსართავეები იმდენი დაგროვდა, რომ მათი
კლასიფიკაცია უკვე შესაძლებელია.

უფრო მეტია და საინტერესო საკუთრივ ქართული მასალიდან
გამოვლენილი პარონიმები (აღქმა — აღთქმა, აჩნევს — ამჩნევს, გონებ-
რივი — გონივრული, პირი — პიროვნება, სწორად — სწორედ და სხვ.
მრ.), რომელთა ერთი ნაწილი გაანალიზებულია „ქართული სიტყვის
კულტურის საკითხების“ VII წიგნში (1985 წ.). ამათ შეიძლება დაემა-
ტოს ბევრი სხვა (საშური — შესაშური, მაცხოვრებელი — მცხოვრე-
ბი, სასმისი — სასმელი...). სპეციალურად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ
ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვის ფონეტიკური ვარიანტები იქცევიან პა-
რონიმებად (უებარი — უებრო, შეკაზმვა — შეკაზვა...).

პარონიმებისა და პარონიმის შესწავლა საშუალო და უმაღლესი
სკოლების სასწავლო პროგრამაშია შეტანილი.

გადაუდებელ ამოცანად დადგა ქართული ენის ბარონიმების ლექსიკონის შედგენა.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

საში ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

1. ქართულ ძალა სიტყვას უნდა შეესატყვისებოდეს მეგრული ჭოლა, რომელიც წარმოდგენილია სიტყვაში ჭოლოკეტი (< ჭოლაკეტი) „ბერკეტი“; მაშასადამე, ჭოლოკეტის ამოსავალი და სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა არის „ძალა-კეტი“.

2. ქართული ჭაგჯის („გრძელი, უძირო საზიდარი, — ფორანი“) შესატყვისი უნდა იყოს მეგრული ზმნური ფუძე ჭორჯ — „დიდი რაოდენობით შეშის, ქვის... დაწყობა, დალაგება“.

3. ქეგლ-ში აღნიშნულია, რომ დუჯი არის „ახლად გამოტანილი ყლორტი“; მის შესატყვისად უნდა მივიჩნიოთ მეგრული დუჯა „ჰარია“.

რ ე ვ ა ზ შ ე რ ო ზ ი ა

ზმნურ კონსტრუქციათა ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში

ქართველურ სალიტერატურო ენასთან შედარებით მის განშტოებებში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა კონსტრუქციები რამდენადმე განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ. განსაკუთრებით ეს ეხება მეგრულ-ლაზურს, სადაც საერთო სისტემიდან დიალექტური გადახრები აღრევე იყო შემჩნეული (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა...): მეგრულში გარდაუვალი ზმნების II სერიის ფორმათა კონსტრუქცია გაუთანაბრდა

გარდამავალი ზნებისას — სუბიექტი მოთხრობითში დაისმის, გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალი („ჰორიზონტალური გათანაბრება“); ლაზურმა გარდამავალი ზმნის II სერიის ფორმათა კონსტრუქცია გაავრცელა დროთა ყველა წგუფში („ვერტიკალური გათანაბრება“).

ამ ცვლილებებთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება: ა) რას უნდა გამოეწვია აღნიშნული გადახრები მეგრულ-ლაზურში? ბ) შეიძლება თუ არა საერთო სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ეს მოვლენები მივიჩნიოთ საერთო ქართველური სისტემიდან გასვლის ფაქტად თუ სისტემის შიგნით არსებული სარეზერვო საშუალებების ამოქმედებად?

პირველი კითხვის პასუხი შეიძლება ვეძიოთ, ერთი მხრივ, მყოფადისა და თურმეობითის ჩამოყალიბებაში, მეორე მხრივ, სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა უღვლილების თავისებურებაში.

ცნობილია, რომ ძველ ქართველურ სალიტერატურო ენაში პრევერბიანმა აწმყოს ფუძემ გვიან შეიძინა მყოფადის მნიშვნელობა. ანალოგიური პროცესი განვითარდა მეგრულშიც, მაგრამ ლაზურმა ძირითადად ძველი სისტემა დატოვა და II კავშირებითის ფორმებს -ერე- (ვიწურ-არქაბულსა და ათინურში) და უნონ (ხოფურში) მეშველი ზმნები დაურთო, თუმცა იქვე არაიშვიათად პრევერბიანი აწმყოს ფორმებიც გვხვდება (არნ. ჩიკობავა). როგორც ჩანს, მყოფადის სისტემის შეცვლის პერიოდს ემთხვევა ზანურის (კოლზურის) გათიშვა, რაც მეგრული და ლაზური დიალექტების ჩამოყალიბებას განაპირობებდა. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ლაზურმა ვერ მოასწრო პრევერბიანი მყოფადის დამკვიდრება და უპირატესობა მისცა ძველ, II კავშირებითიან აღწერით ფორმებს. ყოველივე ამან კი შესაბამისად კონსტრუქციის ცვლაც გამოიწვია: გარდამავალი ზმნის II სერიის კონსტრუქცია გავრცელდა I სერიაშიც. მსგავსი გზით წავიდა ლაზური III სერიის წარმოების მხრივაც: აორისტის ფორმას დაემატა ისევე მეშველი დორენ (ვიწურ-არქაბულში) და -ერე- (ხოფურში) ზმნები. ამიტომ აქაც კონსტრუქცია II სერიისაა გადმოტანილი.

მეგრულში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა კონსტრუქციების გათანაბრება (II სერიაში) შემდგომი ეტაპი ჩანს. მიზეზი უნდა ყოფილიყო დინამიკურ ზმნათა კონსტრუქციის უნიფიკაცია გარდამავლობა-გარდაუვალობის უგულვებელყოფით: მოთხრობითსუბიექტიან ზმნათა რიგში ჩადგნენ ისეთი გარდაუვალი ზმნებიც, რომელთა სუბიექტი, სა-

ერთო ქართველური სისტემის მიხედვით, სახელობითი ბრუნვით იყო წარმოდგენილი, — რაკილა მყოფადსა და II სერიაში სტატიკურები ვერ მოხვედებოდნენ თავიანთი შინაარსის გამო, დინამიკურთა გათანაბრება ადვილი აღმოჩნდა. მსგავსი „ჰორიზონტალური გათანაბრების“ მცდელობა არაერთ დასავლურ თუ აღმოსავლურ დიალექტებშიც არის შენიშნული. ოღონდ ეს პროცესი აღარ განვითარებულა, რასაც, ალბათ, სალიტერატურო ენის კონსერვატიზმმა შეუშალა ხელი.

მეგრულ-ლაზურს ზმნური კონსტრუქციების მხრივ სხვა თავისებურებებიც ანასიათებს (ისინი სხვა ადგილას იქნება განხილული), მაგრამ არცერთი პათგანი საერთო ქართველური სისტემიდან არ გადის; ყველა „ანომალია“ თუ თავისებურება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დიალექტური გადახრა საერთო ქართველური სალიტერატურო ენის სისტემიდან.

იზა ჩანტლაძე, ელისაბედ გაზდელიანი

„სვანური ლექსიკონის“ ინვერსიული ინდექსი

1. იოჰან გიულდენშტედტის ეპოქიდან (XVIII ს.) დაწყებული დღემდე სვანურ ლექსიკას არაერთი მეცნიერი თუ მოგზაური შენებია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ სხვადასხვა თვალსაზრისით. იყო ცდები სვანური ლექსიკონების შექმნისაც, მაგრამ აქამდე არსებულ პუბლიკაციათა შორის აკადემიური შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ვარლამ თოფურიასა და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონს“. სამოცი წლის მუხლჩაუხრელი შრომისა თუ საოცარი რუღუნების შედეგი, სამწუხაროდ, დაისტამბა ავტორთა გარდაცვალების მერე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციისა და დიდებულ მასწავლებელთა მოწაფეების ყოველდღიური გულმოდგინების წყალობით. ამით აღსრულდა ქართველთა ღირსებისა, ფოლკლორისათა თუ ეთნოგრაფთა დიდი ხნის ოცნება, მაგრამ გაჩნდა ახალი პრობლემებიც, რომელთა შორის უპირველესად მიგვაჩნია აკადემიური ლექსიკონის ინვერსიული ინდექსის

შექმნა, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ამ ჯაღონსური კუთხის მცხოვრებთა ყოფითა და ენით დაინტერესებულ მეცნიერთა შორის სევანური პრაქტიკულად ძალიან უოტამ იცის.

2. რაკიდა უშეცდომო ლექსიკონი ფაქტიურად არ არსებობს, ამიტომ, ბუნებრივია, ინდექსში გასწორდა „სევანურ ლექსიკონში“ გაბარული უნებლიე (არამხოლოდ ტექნიკურ-კარექტურული) შეცდომები.

3. ვარლამ თოფურისა და მაქსიმე ქალდანის ერთობლივ ნაღვაშში შეტანილია თანამედროვე სევანური ენის ყველა დიალექტის ძირითადი ლექსიკური ფონდი და მთელი მასალა გაწყობილია ბალსზემოური კილოს მონაცემზე, სხვა ერთეულები კი წარმოდგენილია ფონეტიკური ვარიანტების სახითაც (შესიტყვებით „გიგევა, რაც“). ინდექსზე მუშაობის პროცესში ვაირკვა, რომ თითო-ორჯოლა შემთხვევაში მითითებული ამოსავალი (ბალსზემოური) ლექსემა არ გვხვდება ცალკე სიტყვა-სტატიის სახით „სევანურ ლექსიკონში“. რადგანაც ავტორებს ნაშრომი დაუმთავრებელი დარჩათ, ჩვენ იძულებული გავხდით ზოგი აუცილებელი მონაცემი დაგვეპატებინა ლექსიკონისათვის, მაგრამ როგორც ჩანს, თავის დროზე ყველაფერი ბოლომდე ვერ მოვახერხეთ (ძალზე გვზღუდავდა მოცულობა — 906 გვ.). ამიტომ ინდექსის გამოცემის ბოლოს წარმოვადგინეთ დანართს, რომელშიც აღნიშნული ლექსემები გაწყობილი იქნება ანბანთრიგის მიხედვით შესაბამის ადგილას, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა-სტატიები ხუთივე დიალექტის გრამატიკული ფორმებისა და სათანადო ილუსტრაციების მითითებით (ჩოლურულ მასალას ამგერად ცალკე გამოვეყოფთ, თუმცა აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია მას გარდამავალ დიალექტად მიიჩნევდნენ).

4. ბუნებრივია, რომ ქართული ენის სტრუქტურის უპირატესმა გათვალისწინებამ მოითხოვა ახალი საკითხების წინ წამოწევა. ასე მაგალითად: „სევანურ ლექსიკონში“ ნაშრომის მიმდებარის გამომხატველი ნაპრეფიქსიანი და -ილ/-ულ სუფიქსიანი ფორმების შესაბამისი სევანური მასალის თარგმანები ერთმანეთისაგან მკაცრად დიფერენცირებული არ არის (მდრ. ნა-ჭთ-უნ „დანაწყველი, ნაწყვეარი, დაწყველილი“, ერთი მხრივ, და ლგ-ჭმთ „წყვეული, დაწყველილი“, მეორე მხრივ). ინდექსში წარმოვადგინეთ უფრო ზუსტი ვარიანტები, რასაკვირველია, სადაც შესაძლებელი იყო (ნაწყველი, ნაწყვეარი — ნა-ჭთ-უნ; წყვეული, დაწყველილი — ლგ-ჭმთ)“.

5. დასაბამია, რომ ამჟერად ავტორთა მიერ სამტომეულად ჩაფიქრებული ლექსიკონის მხოლოდ ერთტომეული სახით გამოცემა მოხერხდა. ბუნებრივია, ძალიან შეიზღუდა მოცულობა, რაც, პირველ ყოვლისა, უთვალავ ზმნისწინიან ფორმას შეეხო, თავის დროზე კი ვარლამ თოფურისას ხელმძღვანელობით, ძირითადად, შესრულდა ეს უპარესად შრომატევადი სამუშაო (ე.ი. ყოველი მასდარის ფორმასთან ყველა შესაძლო პრევერბიანი მონაცემის მითითება შესაბამისი დოკუმენტაციით). ამ პრობლემამ თავი იჩინა ინვერსიულ ინდექსზე მუშაობის პროცესშიც: ერთი და იგივე ზმნა მოხვდა სხვადასხვა ადგილას, რადგანაც სეანური ე.წ. წინდებულ-თანდებულები (ვარლამ თოფურისას ტერმინოლოგიით) **ჟი-**, **ჩუ-**, **სგა-**, **ქა-** თანხმონიანი ანლაუტის შემცველ ზმნებთან და სახელზმნებთან ჭერ კიდევ ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და ამიტომაც ცალკე იწერება. ბევრ შემთხვევაში პრევერბიანი ფორმები უპრევერბებს სემანტიკურადაც უპირისპირდება („სეანურ ლექსიკონში“ **ქა ლიბდჷ** — „გაბედვა“ და **სგა ლიბდჷ** — „შებედვა“ გვხვდება **ლიბდჷ** („ბედვა“)) სესაბამის ილუსტრაციებში, ხოლო ინვერსიულ ინდექსში განსხვავებული სიტუაცია გვაქვს: **„ბედვა“ — ლიბდჷ**, **გაბედვა — ქა ლიბდჷ**, **„შებედვა“ — სგა ლიბდჷ**...).

6. ვფიქრობთ, რომ ოდინდელ სეანურში -ა და მა- მორფემებიანი აბსტრაქტული სახელები **ლი-** პრეფიქსიან მასდარებს თავდაპირველად უპირისპირდებოდნენ მოქმედების სახის გამოხატვის თვალსაზრისით. პირველი მათგანი ზოგად ასპექტს, უსრულ მოქმედებას აღნიშნავდა, ხოლო მეორე -- კონკრეტულს, სრულს (პრევერბიანი ფორმები შედარებით გვიანი წარმონაქმნი უნდა იყოს). სადაც კი გვიხერხდება, ვცდილობთ გავხაზოთ ეს ოპოზიცია ინდექსის ქართულ ნაწილშიც („წყველა“ — **ჭათა**, „დაწყველა“ — **ლიჭათინე**; „ძღომა“ — **ბიზა**, „გაძღომა“ — **ლიბზე**; „ცივება“ — **მანცხია**, „გაცივება“ — **ლიმცხანე**; „ხსენება“ (ხსონა, მხსიერება) — **მაშყანდ**, „გახსენება“ — **ლიშყედ**; „წუხილი“ — **მაჭკარა**, „შეწუხება“ — **ლიჭკარე**...).

7. სულმნათი მოძღვართმოდვრის, აკადემიკოს ვარლამ თოფურისას მოწაფეებს მიგვაჩნია, რომ „სეანურ ლექსიკონზე“ მუშაობითა და მისი ინვერსიული ინდექსის შექმნით გამოვხატავთ უსაზღვრო სამადლობელს იმ დეაწლისათვის, რაც ბატონ ვარლამს ჩვენთვის გაუწევია. საოცრად გვეამაყება, რომ ამის საქვეყნოდ აღიარების შესაძლებლობა მო-

გვეცა სწორედ 2001 წელს, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების საუკუნოვან იუბილეზე.

8. სამტომეული აკადემიური ლექსიკონის გამოცემაზე ზრუნვა ახალი თაობის უწმინდესი ვალია. ამ თვალსაზრისით ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის ხელმძღვანელობით შექმნილი ძვირფასი ფონდი, რომელიც არნოდლ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტშია დაცული, ყველას გაუწევს უდიდეს სამსახურს.

მ ა ნ ა ნ ა ხ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები და თეზაურუსი როგორც ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენის ფორმა

1. ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები არის დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების სახეობა. წარმოშობა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონებისა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკოგრაფიული ჟანრისა, მიეკუთვნება მე-19 საუკუნის ბოლოს, თუმცა მანამდეც ლინგვისტური ტერმინოლოგია ასახევას ჰპოვებდა ფართო სამეცნიერო გამოცემებში, როგორცაა: ენციკლოპედიები, საერთო-სახალხო ენის განმარტებითი ლექსიკონები და მისთ. პირველ ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები ატარებდნენ ვიწრო დიდაქტიკურ ხასიათს და ასახავდნენ ლინგვისტურ ტერმინოლოგიას სასკოლო-სასწავლო დაწესებულებების მოხმარების ფარგლებში. ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების გამოცემამ მასშტაბური ხასიათი შეიძინა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, რაც, უპ. ყოვლისა, დაკავშირებულია ახალი ლინგვისტური დისციპლინების გაჩენასთან და, ასევე, ლინგვისტური სკოლებისა და მიმართულებების რიცხვის ზრდასთან.

2. გამოიყოფა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების შემდეგი ტიპები:

1. სალექსიკონო მასალის ორგანიზაციის ხერხის მიხედვით:

ა) საკუთრივ ლექსიკონი — ტერმინთა ანბანური ან თემატური

რეესტრი ინფორმაციულობის სხვადასხვა ხარისხით;

ბ) თეზაურუსი — ტერმინთა შორის სემანტიკური მიმართებების ამსახველი ლექსიკონი.

2. სპეციალური ლექსიკის მომცველობის მიხედვით:

ა) ზოგადი — რომლის მიზანია წარმოადგინოს შეძლებისამებრ სრული ჩამონათვალი ენათმეცნიერების ყველა დარგის ტერმინებისა (ექსტენსიონალური ტიპი);

ბ) სპეციალიზებული — რომელშიც წარმოდგენილია ცალკეული ლინგვისტური სკოლისა თუ მიმართულებების და ენათმეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტერმინები (ინტენსიონალური ტიპი). აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული ლექსიკონები შედარებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე სხვა სახის ლექსიკონები.

3. სალექსიკონო სტატიების ინფორმაციულობის ხარისხის მიხედვით:

ა) განმარტებითი — ექსპლანატორული, როგორც წესი, ერთენოვანია. განმარტებით ლექსიკონებში, თავის მხრივ, ორი ტიპი გამოიყოფა: საკუთრივ განმარტებითი და ენციკლოპედიური.

საკუთრივ განმარტებით ლექსიკონებში ტერმინები ახსნილია დეფინიციათა მეშვეობითა და რამდენიმე მაგალითით. ასეთი ლექსიკონები ორი სახისაა: ზოგადი და სპეციალიზებული.

ზოგადი განმარტებითი ლექსიკონები ასახავენ როგორც თანამედროვე, ისე ტრადიციულ ლინგვისტურ ტერმინოლოგიას. ამ ტიპის ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: ე. სპრინგეტის, მ. პეის, ე. მუნენის, რ. კონრადის (გამომცემელი), ო. ახმანოვას ლექსიკონები. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ო. ახმანოვას ლექსიკონი „Словарь лингвистических терминов“ (მ., 1966), სადაც წარმოდგენილია მეტად სრულყოფილი აღწერა (დაახლოებით 7 ათასი ტერმინი) მე-20 საუკუნის 60-იანი წლებისათვის ჩამოყალიბებული ე.წ. საბჭოთა ენათმეცნიერების მეტაენისა.

სპეციალური განმარტებითი ლექსიკონები იფარგლებიან ცალკეული ლინგვისტური სკოლებისა და მიმართულებების ტერმინოლოგიებით. ამ ლექსიკონებში ხშირად გამოიყენება ციტატური პრინციპი მასალის მოწოდებისა. ამ ტიპის ლექსიკონია მაგ., ვ. დემიანკოვის „ინგლისურ-რუსული ტერმინები გამოყენებით ლინგვისტიკასა და ტექსტის ავტომა-

ტურ დაპუშავენიში“ (მ., 1979-1982); აქვე შეიძლება დავასახელოთ ი. ქობალაძის „მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის“ (თბ., 1974) და სხვ.

ენციკლოპედიური ლექსიკონები შეიცავენ ცნებათა და ტერმინთა ერთ ან რამდენიმე განმარტებას, მათ ისტორიას, ილუსტრაციებს, ბიბლიოგრაფიას. ამ ტიპის ლექსიკონები სამეცნიერო-საეცნობარო ტიპის გამოცემებია და აქ მასალა თავსდება ანბანური ან თემატური პრინციპის მიხედვით, ხშირად კი ორივე ეს პრინციპი შეერთებულია. ენციკლოპედიური ლექსიკონები, მსგავსად საკუთრივ განმარტებითი ლექსიკონებისა, ასევე ორი ტიპისაა: ზოგადი და სპეციალური.

ზოგადი ტიპის ენციკლოპედიური ლექსიკონები ორიენტირებულია ზოგადლინგვისტურ პრობლემებზე. ასეთებია მაგ., ი. კნობლოხის, ო. დიუქროსა და ც. თოდოროვის, რ. ჰარტმანისა და ფ. სტარკის, ა. მიტემისა, ა. მარტინესი (რედ.), ბ. პოტეს, რ. სიმეონის, ტ. ლევანდოვსკის, ლ. ჟირკოვის, ე. პოლივანოვის (დაუსრულებელია) ლექსიკონები; ვ. იარცევას რედაქციით 1990 წ. გამოცემული ენციკლოპედიური ლინგვისტური ლექსიკონი.

სპეციალური ენციკლოპედიური ლექსიკონები ორიენტირებულია კერძო ლინგვისტურ პრობლემებზე, სახელდობრ, ცალკეულ ენათა აღწერაზე. ამ ტიპისაა მაგ., რ. ენგლერის ლექსიკონი სოსიურის ტერმინოლოგიური ლექსიკონისა, ა. მაკუმურას (რედ.), ვ. აბრაშარის, ე. ჰემპის, ი. ვაჰეის, ე. მარუზოს ლექსიკონები.

ბ) ნომენკლატურული — სიტყვანი, ტერმინთა ნუსხა, რომელსაც არ ახლავს რაიმე ინფორმაცია; როგორც წესი, ორ და მეტენოვანია, რადგან ამ ტიპის ლექსიკონთა ძირითადი მიზანია შეპირისპირება ლინგვისტური ტერმინოლოგიისა. ასეთებია, მაგ., ჯ. პატერნოსტის, რ. ნეშის, ვ. ვასჩენკოს ლექსიკონები.

გ) გლოსარიუმი — ნუსხა მინიმალურად ანოტირებულ ტერმინებისა. ამ ტიპისაა მაგ., დ. სტიბლის ლექსიკონი.

4. თეზაურუსი (ბერძნ. *thesaurus* — საგანძური, საუნჯე), როგორც სემანტიკური სივრცის წარმოდგენის ფორმა, არსებითად, ლექსიკოგრაფიული ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მოდელია. თეზაურუსის შე-

სახებ მდიდარი ამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. თეზაურუსი შეიძლება ვუწოდოთ ყოველგვარ ლექსიკონს, რომელიც ნათლად აფიქსირებს სემანტიკურ მიმართებებს თავის შემადგენელ ერთეულებს შორის. ამგვარი განმარტებით თეზაურუსია ყველა სახის იდეოგრაფიული ლექსიკონი: თემატური, ანალოგიური და საკუთრივ იდეოგრაფიული (ვ. მორკოკინის კლასიფიკაციის თანახმად) და სპეციალური თეზაურუსები: ზოგადტექნიკური და საინფორმაციო-საძიებო. სპეციალური თეზაურუსები იდეოგრაფიულთან შედარებით ფლობენ იმ უბირატესობას, რომ მათში მკაფიო სახითაა ფიქსირებული საკუთრივ სემანტიკური იერარქია და ნაჩვენებია სემანტიკურ მიმართებათა ანუ თეზაურუსულ ფუნქციითა ტიპები იერარქიის ყოველ ერთეულს შორის.

თეზაურუსი, როგორც ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენის თავისებური ფორმა, თვორიული თვალსაზრისით, არის ერთი შესაძლო მოდელი ლექსიკის სემანტიკური სისტემისა. საგულისხმოა, რომ ტერმინოლოგიური ლექსიკის მოწესრიგების თეზაურუსული მეთოდის ელემენტები არსებობს ჩვეულებრივ ლექსიკონებშიც ისეთი სახით, როგორიცაა მაგ., მითითება სინონიმებისა, კორელატებისა, გამოყენების სფეროსი, დისციპლინისა და მისთ. სპეციალური თეზაურუსი, როგორც ლინგვისტური ინსტრუმენტი მეცნიერების ენის აღწერისა, უპ. ყოვლისა, მოიაზრება საინფორმაციო-საძიებო სისტემების შექმნის საშუალებად. საინფორმაციო-საძიებო სისტემების აგება კი უშუალო კავშირშია დოკუმენტთა ავტომატური ინდექსირებისა და ტექნის საკითხებთან, ანუ ამგვარი სისტემების დამუშავება მთლიანად პრაგმატიკულ-გამოყენებითი მიზნებითაა ნაკარნახევი. ლინგვისტურ ტერმინთა საინფორმაციო-საძიებო თეზაურუსი განისაზღვრება როგორც ლექსიკონი კონცეპტუალური შესასვლელითა და მის ერთეულებს შორის ფიქსირებული სემანტიკური კავშირებით (ს. ნიკიტინა). აღსანიშნავია, რომ სპეციალურ თეზაურუსში კლასიფიკირდება არა მხოლოდ ტერმინები, არამედ — სემანტიკური მიმართებებიც. რადგან სპეციალური საინფორმაციო-საძიებო თეზაურუსი ჩვეულებრივ ერთეულებად შეიცავს მხოლოდ ტერმინოლოგიურ ლექსიკას, მის ბაზაზე იქმნება ტერმინოლოგიური ბანკები. ტერმინოლოგიის თეზაურუსული წარმოდგენა იძლევა საშუალებას ბაზისურ და ნაწარმოებ ტერმინთა შორის ურთიერთკავშირის სისტემურად წარმოჩენისა. საინფორმაციო-საძიებო თეზაურუსი ამოდელირებს ლექსიკის პარადიგმა-

ტულ კავშირებს, უპ. ყოვლისა, იერარქიულსა და სინონიმურს, ასევე სემანტიკურ სინტაქსს. საზოგადოდ, საინფორმაციო-საძიებო თეზაურუსები განირჩევიან:

- 1) თეზაურუსში ჩართული ლექსიკის ხასიათითა და მოცულობით;
- 2) იერარქიის ხასიათითა და სიღრმით;
- 3) იერარქიის დამატებითი ასპექტიზაციის არსებობით ან არარსებობით;
- 4) გამოყენებულ პარადიგმატულ მიმართებათა რიცხვითა და ტიპებით;
- 5) ლექსიკონის წარმოდგენის ხერხით.

იდეოგრაფიული ლექსიკონებია, ზემოთწარმოდგენილი განმარტების თანახმად, ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების უმეტესობა. სპეციალური საინფორმაციო-საძიებო თეზაურუსებია ლინგვისტიკაში მაგ., სლავური ლინგვისტური ტერმინოლოგიის ლექსიკონი (1-2 ტ., პრადა, 1977-1079), ს. ნიკიტინას „თეზაურუსი თეორიულ და გამოყენებით ლინგვისტიკაში“ (შ., 1978), ვ. ბელის თეზაურუსი ო. ახმანოვას ლექსიკონის ბაზაზე და სხვ.

ლინგვისტურ ტერმინთა თეზაურუსი, როგორც სპეციალური საინფორმაციო-საძიებო სისტემა, არის ერთ-ერთი ძირითადი პირობა იმისა, რომ ლინგვისტიკის მეტაენა განხილულ იქნეს ბუნებრივი და ხელოვნური ენების მიწართებათა კონტექსტში.

შ ა რ უ ნ ჩ ი მ ქ ე , მ ა ი ა მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი

შე- ზმნისწინისა და ა- მაქცევრის მიმდევრობისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ზმნებში

1. ჩენი ძირითადი ამოცანაა, მოცემულ ფარგლებში (შე- + ა-/O +R — აწმყო-მყოფადის თხრობ. კილო, ვინის რიგი) წარმოვადგინოთ ყველა ზმნური ვუძის მოდელირების ცდა. ჩენი გაგებით, დინამიკური მოდელირება გჯლისხმობს ზმნისა და მისი მატრიცული სინტაქსური გარემოცვის წარწმენის მექანიზმის აღმოჩენასაც. რამდენადაც ზმნის

წარმოქმნილი მოდელირება მოქმედებს არა მარტო მორფოლოგიის ფარგლებში, არამედ იმავდროულად გულისხმობს სინტაქსური მატრიცული გარემოცვის გენერირებასაც, შემოგვაქვს ენის მორფოსინტაქსური დონე. მონაცემთა ბაზად და ამოსაყვალ სქემებად ვიყენებთ გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიანის, დ. შენგელიას „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონს“ (1989). მოცემული სქემების კომპონენტები წარმოდგენილია შემდეგი სიმბოლოებით: ძირი: R; ძირის საფარკობი y; მაქცევრები: x; თემის ნიშნები: z; ზმნისწინები: u; სუფიქსი: d. პირველადი მოდელირების საფუძვრზე წარმოქმნის ნაბიჯები ხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით: $u+x+R+y+z$, შემდგომი დიათეზირებით (მაჭავარიანი 1996).

2. ზმნის აგების ძირითადი კომპონენტების შესაძლებელი ვარირება ქართულში სრულად არ არის განხორციელებული, ის ექვემდებარება შეზღუდვების გარკვეულ წესებს.

3. ჩვენი აზრით, ამაქცევარი (ისტორიულად ჰა/ზა. ნ. მარი), არის ენის რიგის ზმნებთან სინთეზირებული III პირის მოკლე ნაცვალსახელური პროკლიტიკა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა, ექსტრავერტული ორიენტაციის წყალობით წარმოქმნას სინტაქსური მატრიცული ობიექტები სხვადასხვა აქტანტური როლებით. „ა-“ ორი სახისაა: ბმული და არაბმული. ბმული ა- წარმოქმნის ოდენ სინტაქსურ კონსტანტას O_3 - ძირითადად პაციენსის როლში, ხოლო არაბმული ა- წარმოქმნის O_{4-} განსხვავებული როლებით, მათ შორის ლოკატიური შინაარსისა. (მაჭავარიანი 1980; 1986; 1987; 1996).

4. შე- ზმნისწინი გამოირჩევა ერთი ფონოლოგიური ნიშნით: ყველა სხვა ზმნისწინისგან განსხვავებით, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ახმოვანს, მას ახასიათებს პალატალური აბლაუტი: ა — ე (ამჟამად ამ მოვლენის დიაქრონიული ანალიზი ჩვენს ამოცანას სცილდება. არ განვიხილავთ აგრეთვე შე- ზმნისწინის კომბინაციებს სხვა ზმნისწინებთან).

5. თანამედროვე ქართულში, როგორც ცნობილია, ზმნისწინები ორ დანიშნულებას ახორციელებენ:

ა) ისინი ახდენენ ასპექტის გრამატიკულ მარკირებას, და ზოგიერთ ზმნასთან აწარმოებენ მყოფადს. ჩვენი აზრით, ზმნისწინის ერთერთ გრამატიკულ დანიშნულებად შესაძლებელია აგრეთვე დავსაზოთ სუბიექტის ფუნქციურ-აქტანტური სპეციფიკაცია. კერძოდ, თუ სუბი-

ექტს აქვს უნარი, აკონტროლოს ზმნისწინის დართვა-დაურთველობა (ანუ აკონტროლოს ასპექტის სახე), მაშინ ის იძენს აგენტურ როლს, ერგატიული ბრუნვით მარკირებულს. საპირისპირო შემთხვევაში სუბიექტი ნომინატივშია და მისი აგენტურობა თუ არააგენტურობა დამატებით გრამატიკულ დასაბუთებას მოითხოვს (მაქავარიანი 1981; 1983; 1987; 1988). თქმული ვრცელდება შე- ზმნისწინზედაც, ერთი გამონაკლისით: მეღიო-აქტივებთან და პოტენციალისთან შე- მყოფად ვერ აწარმოებს (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988).

ბ) გრამატიკულ ფუნქციასთან ერთად ზმნისწინებს აქვთ შინაარსობრივი დატვირთვა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს მხარე დაწვრილებით აქვთ შესწავლილი ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, მ. ქაბაშვილს. ბ. ჯორბენაძეს, მ. კობაიძეს, მ. ბერიძეს, ც. კვანტალიანს, შ. აფრიდონიძეს და სხვა მეცნიერებს. შე- ზმნისწინის მნიშვნელობებს სპეციალური წერილი მიუძღვნეს ვ. ბოედერმა (1992) და ც. კვანტალიანმა (1999, 2001). ჩვენ ვითვალისწინებთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს. ვადასტურებთ ყველა გამოყოფილ მნიშვნელობებს, მაგრამ გვაქვს განსხვავებული აზრი ზმნისწინისა და ზმნის ფუძეს შორის არსებული შინაარსობრივი მიმართების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ზმნისწინიანი ზმნის შინაარსობრივი გენერირების წესებს.

როგორც ცნობილია, ზმნისწინთა ველის სემანტიკური დიფერენციალია მიმართულებისა და ორიენტაციის მარკირება. ველის შიგნით ზმნისწინები ლაკდება თითოეული ზმნისწინის საკუთარი პარადიგმატული დიფერენციალის მიხედვით. შე- ზმნისწინთან გამოყოფით მიმართულება-ორიენტაციის სპეციფიკაციისათვის: ანლომყოფობა/მიიხლოებას, ხოლო დამატებით სემანტიკურ დიფერენციალად — მოქმედების, ვითარების, პროცესის... პარტიტიულობას. მკლევართა მიერ გამოყოფილი მნიშვნელობების ნიუანსები (მაგ., რესიპროკი, ქვევიდან ზევით მოძრაობა, ზედაპირზე მოქმედება, მოძრაობის შიდა (შელწევის) ორიენტაცია და ბევრი სხვა) ჩვენი აზრით, წარმოიქმნება ზმნური საზრისების შინაგანი პოტენციის, ნაგულისხმევი მნიშვნელობების, შესაძლებლობების გაშლისა და განხორციელების შედეგად, რაც ზმნისწინისა და ფუძის შინაარსის სინთეზით მიიღწევა. ზმნისწინები მოქმედებენ, როგორც სივრცე-დროისა და მოძრაობის გამოშხატველ ზმნებთან, ისე მენტალური ან სხვა სახის საზრისების დონეზე, რაც აგრეთვე დამოკიდებულია

ზმნის კონკრეტული შინაარსის ტიპზე. ამიტომ ამ შემთხვევაში მეტაფორიზაციის დაშვება, ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი (შდრ. ბოდერი 1992).

ბ. ჩვენ მიერ გამოყოფილია შე + ა/O+R-ს შემცველი ცხრა სხვადასხვა მოდელი. მათი ამოკმედებით ავტომატურად წარმოიქმნება შე-ზმნისწინიან ზმნათა ცხრა სხვადასხვა კლასი (ქეგლის მიხედვით), შესაბამისი მატრიცული გარემოცვით, სუბიექტისა და ობიექტების აქტანტური როლების საეციფიკაციით, ასპექტური მანსიათებლებით და სემანტიკური სელექციით ზემომოყვანილი თეორიული ჩარჩოს ფარგლებში.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ნახურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები (კონსონანტიზმი)

ნაშრომში დადგენილია თანხმოვანთშესატყვისობები ნახურ და ქართველურ ენებს შორის. კორესპონდენციები რეგულარული და კანონზომიერი ხასიათისაა. შესატყვისობათა დადგენა მოხერხდა ნახურ-ქართველური ძირითადი საერთო-ლექსიკური ფონდის ისტორიულ-შედარებითი ანალიზის შედეგად. გამოვლენილია 400-ზე მეტი საერთო წარმოშობის ლექსიკური ერთეული.

შესატყვისობები არასიბილანტურ რიგებში ძირითადად იდენტურია მეტ-ნაკლება ფონეტიკური ტრანსფორმაციებით.

სიბილანტურ რიგში ფიქსირებულია შემდეგი სახის შეფარდებები: ნახ. სისინა — ქართ. სისინა, ნახ. შიშინა — ქართვ. სისინა. არა გვაქვს მოსალოდნელი ნახ. შიშინა — ქართვ. შიშინა; მიზეზი საძიებელია ნახურ ენათა შიშინა აფრიკატთა ისტორიაში. ცხადდება ფონეტიკური გარდაქმნა — აფრიკატთა ლეზაფრიკატიზაცია: წ.-ნახ. ჟ, ჩ, კ → ღჯ (→თჯ/ტ თჯ, ტჯ/ტ).

ცალფონეტიან ბგერათშესატყვისობებს მიჰყვება თანხმოვანკომპლექსთა ჩვენებაც. ჩვეულებრივია: ნახ. ფხ — ქართვ. ფხ, ნახ. თხ —

ქართ. თხ, ნახ. ტყ — ქართვ. ტყ, ნახ. ცხ — ქართვ. ცხ, ნახ. წყ — ქართვ. წყ...

ძირის ისტორიის კვლევისას მნიშვნელოვანია დებულება, რომელიც მოითხოვს მორფოლოგიურ-ფუნქციური შესატყვისობების გარჩევადანსხვავებას ფონეტიკური შესატყვისობებისაგან ერთი სიტყვის ფარგლებში (არან. ჩიქობავა); შდრ.: ნახ. ბ-უთჷ (←*ბ-ითჷ-) „თვე, მთვარე“ — ქართვ. დ-ითჷ-ე „თთვე||თთჷე“, ნახ. ნე-თხ-იჷ „წვირილი“ — ქართვ. დი-თხ-ელ- „თხელი“; ნახ. ბ-უყ „წელი“ — ქართვ. *ს-უყ (შდრ. სვან შჷყ), ნახ. ნი-ტჷ (←*ნი-ჷ-) — ქართვ. *დი-ჷ-არ — „ქინჷარი“...

ქვემოთ მოგვყავს ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ძირითადი სახეობები.

ნახურ-ქართველურ შესატყვისობათა
ტაბულა

ნ ა ხ .	ქ ა რ თ ვ .	ა მ ო ს ა ვ ა ლ ი
	ლაბიალები	
ბ (→ჷ/შ)	ბ (→ჷ/შ)	ბ
ფ	ფ	ფ
(პ)	(პ)	(პ)
	დენტალები	
ღ (→ტ)	ღ	ღ
თ (→თჷ)	თ	თ
ტ (→ღ)	ტ	ტ
	სიბილანტები	
ა) ძ (→ზ)	ძ	ძ
ც (→სთ)	ც	ც
წ (→ძ)	წ	წ
ზ	ზ	ზ
ს	ს	ს
ბ) ჯ (→ქ/შ)	ძ	ძ
ჩ (→შ)	ც	ც
ქ	წ	წ

შ	ჭ	ჭ
შ (-ჭჱ)	ს	ს
ა) ჯ (-*ღჱ→ტჱ)	ჯ	ჯ
ჩ (-თჱ)	ჩ	ჩ
ჭ (-ტჱ)	ჭ	ჭ
—	—	—
შ (- ჰჱ/ს)	შ	შ
	ჟიანაენისმიერები	
გ (-კ/ქ)	გ(-ქ)	გ
ქ (-ჭჱ)	ქ	ქ
კ	კ	კ
ღ	ღ	ღ
ხ	ხ	ხ
	ფარინგალები	
ლ, მ/ც	ყ/ყ	ფ
ნ (-ჰჱ/ხ)	ნ (-ხ)	ნ
ყ	ყ (-კ)	ყ
ფ(-ჰჱ)	ლ/→რ	ფ
ჰჱ	ხ	ჰჱ
	ლატერალები	
ლ', ჰ, ლ	შ/ს	შ/ს
ლ', ჰ, ლ	ლ/რ	ფ
	სონანტები	
(მ)	(მ)	(მ)
ჟ(-შ)	ჟ(-შ)	ჟ
ლ	ლ	ლ
მ	მ	მ
ნ	ნ	ნ
რ	რ	რ

ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსები

ბი	ბლ	ბჭ
ფჰ:	ფხ	ფჰჰ
ფხ	ფხ	ფხ
თხ/ლხ	თხ	თხ/ლხ
ტყ	ტყ	ტყ
წყ	წყ	წყ
ჩხ	ცხ	ცხ
ქყ	წყ	წყ
ქყ	ქყ	ქყ

ა ლ ე ქ ს ი კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან („მოუგვარია“, „მოუცია“, „მოუცთია“ იაუ „მოუცდია“?)

1. ფატმანისაგან გაპარებული ნესტანი ქაჯმა მეკობრეებმა შეიპყრეს. მათმა მეთაურმა როშაქმა გადაწყვიტა, რომ ეს მზეთუნახავი თავიანთი მეფისთვის მიეყვანა, და ამხანაგებს ეუბნება:

„ესე ღმერთსა მისაგვრელად მისად ჩვენთვის მოუცია,

მიუტანოი არმალანად, დაგვიმადლებს მეტად დია.

თუ დავმალაეთ, დავმჟღაენდებით, მეფე ჩვენი ამყვია,

პირველ -- მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია“ (1229; 1233).

2. ძველი ქართული ენის, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის ძეგლებისა („ამირანდარგანიანი“, „ქართლის ცხოვრება“) და თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მონაცემების გათვალისწინებით ვასკენით, რომ ატატიის სათაურში გამოტანილ ვარიანტთაგან ავტოგრაფისეულია წაკითხვა: „ესე ღმერთსა მისაგვრელად მისად ჩვენთვის მოუცდია“.

ნი ნ ე ლ ი კ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ხ რ ი ო ლ - ფ უ ძ ი ს წ ა რ მ ო მ ა ე ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

1. ქართულ სამწერლო ენასა და მის დიალექტებში „აბოლები“, „კვამლის“ მნიშვნელობით გვხვდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

დაჯრჩოლვილი: განიცადედა თუალითა შენითა კუამლი დაჯრჩოლვალი (A=1104, ზ. სარჯველაძე).

ყრჩოლა „მცირედ შეკვამლება“ (საბა); კაცისა არად სახმარი სიმყრალე, საყრჩოლებია (ვანტანგ VI).

ღრჩოლა: ცეცხლი ოდნავ ბუუტავდა კერაზე დაღრჩოლავედა (შ. არაგვისპირელი).

ღრძოლვა, ღძოლა, კჩოლა: „ხრჩოლეა, ცუდად ბოლეა“ (ქიზიყური, ჭაეახური — სტ. მენთეშაშვილი, გრ. ბერიძე).

ხრჩოლაგს: ლამპარი შეიძლება... ხრჩოლავედეს და რიგინად ვერ გინათებდეს (ი. გოგებაშვილი).

2. ჩვენი აზრით, ზემოდასახელებულ **კრჩოლ-**, **ყრჩოლ-**, **ღრჩოლ-**, **ღრძოლ-** ფუძეებისათვის ამოსავალი უნდა იყოს იმავე მნიშვნელობის **-ოლ** სუფიქსიანა მიმდებარე ფორმა იმერ., ლეჩხ. **ხოლო** → **ხრჩოლო**, რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც ლეჩხუმური **ჩხოლო** რ-ს ჩართვითა და ჩხ → ხჩ კომპლექსთა მეტათეზისით.

3. **ჩხოლ-**ში გამოეყოფთ **ჩხ-** ძირს, რომელიც წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს სვანურის წვის აღმნიშვნელ სიტყვა შიხ-ს, შ-ს მეტათეზისითა და გააფრიკატებით. შღრ. მესხ. ნაშხერი, ნახშირი.

კ ო ტ ე კ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

წ ო ვ ა - თ უ შ უ რ ი გ ვ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

გვარების გენეზისის კვლევა ეთნოლოგიისა და ონომატოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. წარმოდგენილ მოხსენებაში არსებითად ლინგვისტიკის პოზიციიდან ვაშუქვებთ აღნიშნულ საკითხს,

რაც. ჩვენი აზრით, გარკვეულ სამსახურს გაუწევს როგორც ეთნოლოგებს. ასევე ონომატოლოგებს ამ მიმართულებით კვლევა-ძიების სფეროში.

მეტად საკუთრადღებო მასალას იძლევა გვარების სტრუქტურული შედგენილობა როგორც ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ასევე წოვა-თუშების ისტორიის სიღრმისეული შრეების გამოსაყვანად.

როგორც ცნობილია, წოვა-თუშები იდეალური ანუ ადეკვატური ბილინგვები არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი თანაბრად ფლობენ როგორც ქართულს, ასევე წოვა-თუშურ ენას. ისინი მეტყველების პროცესში ბუნებრივად გადაერთვებიან ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე ენობრივ სისტემაში ისე, რომ ამ გადასვლას ვერც კი გრძნობენ, რაც არ არის შემთხვევითი.

წოვა-თუშური გვარებიც ორ ტიპად იყოფა: ქართული და წოვა-თუშური ტიპისა.

ქართული გვარები ძირითადად ბოლოვდება **ქე-ზე** და **შვილ-ზე**, ხოლო იგივე გვარები წოვა-თუშურ ენაში წარმოების მხრივ ასევე იყოფა ორ ჯგუფად: ერთი ჯგუფი იწარმოება ძირზე -**ღარ** ელემენტის დართვით, ხოლო მეორე -**ურ** ელემენტს დაირთავს. ამ მეორე ჯგუფის გვარებს ბოლოში დაერთვის კიდევ **-ო** სუფიქსი, რომელიც მრ.რ. გამოხატავს.

მაგალითები:

ქართული

წოვა-თუშური

აფშინაშვილი

აფშინა-ღარ

ქავთარიშვილი

ქოვთარ-ღარ

ქრელაშვილი

ქრელა-ღარ

ორბეთიშვილი

ორბეთ-ღარ

შველაშვილი

შველა-ღარ და ა.შ.

-ღარ ელემენტის სემანტიკა ამჟამად მიჩქმალულია. შესაძლებელია ის კრებობისადაც გამოხატავდეს, რადგანაც ამ სუფიქსით ნაწარმოები გვარი მრავლობითობის შინაარსისაა. მაგალითად, **ბერ-ღარ** მოიცავს მთელ **ბერაობა**ს. საერთოდ, არ არსებობს წოვა-თუშურ ენაზე გვარი მხოლოდით რიცხვში. ამ ფაქტის ახსნა, ალბათ, უფრო ეთნოლოგების ამოცანაა, ვიდრე ლინგვისტისა. ამჯერად მხოლოდ გაცვრით აღ-

ენიშნავთ: შესაძლებელია, აქ თემური ცხოვრების რეალიის ასახვასთან გეჭონდეს საქმე, როცა ერთი შტოგვარის ჩამომავლები ერთად ცხოვრობდნენ მრავალწევრიან ოჯახად.

ეს მხოლოდ საკითხის დასმის წესით.

მეორე ჯგუფის გვარები წოვა-თუშურ ენაში იწარმოება ძირზე -ურ || -რ (- -ურ) ელემენტის დართვით. ასეთი გვარებია:

ქართული

წოვა-თუშური

მკედლიშვილი

მედლ-ურ-ი

მეოტიშვილი

მევტ-ურ-ი

ბელადიშვილი

ბელდ-ურ-ი

სულხანიშვილი

სულხნ-ურ-ი

პაპაშვილი

პაპ-რ-ი

ლაგაზიძე

ლაგზ-ურ-ი და ა.შ.

ამ რიგის გვარებიც წოვა-თუშურში მრავლობითობას გამოხატავს, მხოლობითის შინაარსით არ არსებობს არც ერთი გვარი.

ამ მეორე რიგის გვარებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს -ურ || -რ (- -ურ) დაბოლოება ქართველურ ენებთან მიმართებით, მხედველობაში ვააქვს შემდეგი გვარები: გოგოლა-ურ-ი, გეშაგ-ურ-ი, არაბ-ულ-ი, ჭინჭარა-ულ-ი, წიკლა-ურ-ი, ძიძიგ-ურ-ი და ა.შ.

-ურ ელემენტი გამოხატავს წარმომავლობასაც: კან-ურ-ი, სვან-ურ-ი, თუშ-ურ-ი და სხვ.

ამავე მნიშვნელობით -ურ ელემენტი დასტურდება ჭანურ-მეგრულშიც: სენაკ-ურ-ი „სენაკელი“, ბანძ-ურ-ი „ბანძელი“ (აკ. შანიძე).

ამავე მნიშვნელობით ძე. ქართულში დასტურდება -არ ელემენტი: ოპიზ-არ-ი „ოპიზელ“, ოლთის-არ-ი „ოლთისელი“, სომხით-არ-ი „სომხითელი“ (აკ. შანიძე).

ასევე ნახურ ენებში სადაურობის მაწარმოებლად დასტურდება -რე, -რა ელემენტები წოვა-თუშურში: მიჩ-რე ვა ე სტაკ? „სადაურია ეს კაცი?“ ქისტურში: ლამა-რა ვუ „მთიელი არის“...

ჩვენ ეს ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმისთვის დაგვიჩივდა, რომ ფუნქციური პარალელი გაგველო გვარებში დადასტურებულ

-ურ||-ულ ელემენტთან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ისმის კითხვა — ხომ არ გამონატავს გვარების დაბოლოება -ურ||-ულ წოვა-თუშურ-შიც სადაურობას, წარმომავლობას როგორც ქართულში?

მაშინ ეს ელემენტი შეიძლება მივიჩნიოთ ან ტიპოლოგიურ იზომორფიზმად, ან არადა ქართულის სუბსტრატად წოვა-თუშურ ენაში, რაც მეტად საგულისხმო და მრავლისმთქმელია ამ ენათა ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით.



გამომცემლობა „უნივერსალი“

✉ თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

☎ 29 09 60, 8(99) 17 22 30